საქართველოს სახალხო დამცველი

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში



2016

საქართველოს
სახალხო დამცველი

საქართველოს
სახალხო დამცველი

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

2016 წელი

www.ombudsman.ge

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით.
მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატი და
პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

სარჩევი

შესავალი 5

ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება 7

ბავშვის სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო
დონისგან დაცვის უფლება 12

ბავშვთა შრომა და შრომის უკიდურესი ფორმები 14

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება 18

ბავშვის მიმართ ძალადობა 19

განათლების უფლება 27

სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ბავშვები 34

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები 41

რეკომენდაციები 45

შესავალი

2016 წელს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, ბავშვის უფლებების გათვალისწინება, დაცვა და ხელშეწყობა კვლავ პრობლემად რჩება. ბავშვთა მიმართ ძალადობის, უკიდურესი სიღარიბისა და ბავშვის უფლებათა სხვა დარღვევების აღმოსაფხვრელად მიღებული ზომები არასაკმარისია. სახელმწიფო ზრუნვის მიღმა დარჩენილ უხილავ ბავშვებთან ერთად, არსებითად არც სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა შეცვლილა. ოჯახსა და საზოგადოებაში ბავშვი კვლავ რჩება ყველაზე მოწყვლად წევრად, რომლის ხმა, ხშირ შემთხვევაში, არ ისმის.

მისასალმებელია სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო სივრცის დახვეწისკენ მიმართული ღონისძიებები, რაც დადებითად აისახება ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე. ამ მხრივ, აღსანიშნავია კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, რომელიც პარლამენტმა 2016 წლის ივნისში მიიღო. მნიშვნელოვანია, რომ ახლებურად დარეგულირდა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურული წესი. საქართველოს მთავრობის ამ დადგენილებამ[1] გააფართოვა ბავშვის მიმართ ძალადობისა და მიუსაფარ ბავშვთა გამოვლენის, დაცვასა და დახმარებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების წრე. განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია ხელი შეეწყოს მათ ეფექტიან აღსრულებას, რაც სამწუხაროდ კვლავ პრობლემაა.

ამასთან, 2016 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის მესამე დამატებითი ოქმის, „შეტყობინების პროცედურების შესახებ“, რატიფიცირება. ამ დოკუმენტის მიხედვით, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი უფლებამოსილია, მიიღოს შეტყობინება ბავშვის უფლებათა დარღვევის ინდივიდუალურ შემთხვევათა შესახებ. აღსანიშნავია, რომ დამატებითი ოქმის რატიფიცირება საქართველოს სახალხო დამცველის მრავალგზისი რეკომენდაცია იყო.

2016 წელი გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტში საქართველოს მე-4 პერიოდული ანგარიშის წარდგენითაც გამორჩეული იყო. სახელმწიფო ანგარიშთან ერთად, ალტერნატიული ანგარიშები წარადგინეს სახალხო დამცველმა და არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ. ანგარიშის განხილვის შედეგად, 2017 წლის 3 თებერვალს, კომიტეტმა დასკვნითი შენიშვნები გამოსცა[2].

საქართველოს სახალხო დამცველი მთელი ქვეყნის მასშტაბით ინტენსიურად შეისწავლის ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას. 2016 წელს კვლავ მაღალი იყო მიმართვიანობა სახალხო დამცველის აპარატისადმი ბავშვის უფლებების ინდივიდუალურ დარღვევებთან დაკავშირებით. შესწავლილი 311 საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ კვლავ მაღალია მომართვიანობა ბავშვის მიმართ ძალადობის

1 საქართველოს მთავრობის დადგენილება N437 „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ . 2016 წლის 12 სექტემბერი.

2 გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი. „საქართველოს მე–4 პერიოდული მოხსენების დასკვნითი შენიშვნები”, 2017 წლის 16 იანვარი–3 თებერვალი. (Concluding observations on the fourth periodic report of Georgia).

საკითხებზე (78 შემთხვევა), ასევე აქტუალურია ბავშვთა სიღარიბესა და ცხოვრების არასათანადო დონესთან დაკავშირებული პრობლემატიკა (57 შემთხვევა).

სახელმწიფო გამოწვევების წინაშეა ოჯახში, სამზრუნველო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის მაღალი მაჩვენებლის მხრივაც. პრობლემაა, ერთი მხრივ, ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენა, ხოლო მეორე მხრივ რეაბილიტაციის და ძალადობისგან დაცვის ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პრობლემურია ბავშვთა ფიზიკური დასჯის, ასევე, ბავშვებს შორის ბულინგის შემთხვევები.

გადაუჭრელ საკითხთა შორისაა ბავშვთა სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონე, რაც თავის მხრივ, განაპირობებს პრობლემებს ბავშვთა საჭირო საკვებით უზრუნველყოფისა და მძიმე საცხოვრებელი პირობების თვალსაზრისით. ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო პროგრამებში ჩართვა და განსაზღვრული მომსახურების მიღების პროცესი გაჭიანურებულია, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ამ პროგრამების ეფექტიანობას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კვლავ პრობლემას წარმოადგენდა არასრულწლოვანთა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები; განსაკუთრებით საყურადღებოა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის საკითხი, რადგან პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან განხორციელებული რეაგირება ხშირად არ არის ეფექტიანი და დროული.

სახალხო დამცველი სრულად იზიარებს ბავშვის უფლებების კომიტეტის მოწოდებას საქართველოს მთავრობისადმი, მიიღოს ზოგადი კანონი[3] ბავშვის უფლებების შესახებ, რომელშიც ასახული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციისა და დამატებითი ოქმების დებულებები. კანონის მიღება ხელს შეუწყობს ბავშვის უფლებების სისტემატიზაციას, ეროვნული კანონმდებლობის შემდგომ ჰარმონიზაციას საერთაშორისო სტანდარტებთან და უზრუნველყოფს აღნიშნული კონვენციით გარანტირებული უფლებების პრაქტიკაში წარმატებით დანერგვას. საქართველოს სახალხო დამცველი შესაბამის სახელმწიფო უწყებებს ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდებს.

3 გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, „საქართველოს მე–4 პერიოდული მოხსენების დასკვნითი შენიშვნები", განხორციელების ზოგადი კრიტერიუმები (მუხ. 4, 42, 44 (6)). A, კანონმდებლობა (6). (Concluding observations on the fourth periodic report of Georgia, General measures of implementation).

5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე სრულყოფილი მომსახურებით და ავადმყოფობათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებებით. მონაწილე სახელმწიფოები ესწრაფვიან, უზრუნველყონ, რომ არც ერთ ბავშვს არ შეელახოს უფლება, ხელი მიუწვდებოდეს ჯანმრთელობის დაცვის ამგვარ მომსახურებაზე“. ამასთან, კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, შეამცირონ ახალშობილთა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, ხოლო დედებს, ჯანმრთელობის დასაცავად, გაუწიონ სათანადო მომსახურება მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდებში.

გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის, „ტექნიკური სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ 5 წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობისა და ავადმყოფობის შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით პოლიტიკისა და პროგრამების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით“, მიხედვით, ბავშვთა სიკვდილიანობის შესამცირებლად, აუცილებელია, შესაბამისი რისკფაქტორების გათვალისწინება და საქმიანობის რამდენიმე მიმართულებით წარმართვა, რომლის დროსაც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ნაწილი[4]. 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის შესამცირებლად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ჯანდაცვის უმაღლესი შესაძლებელი სტანდარტი[5]. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სიღარიბე, განათლებისა და სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა.

მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის ოფიციალური სტატისტიკისა და ფართომასშტაბიანი კვლევების მონაცემებით, საქართველოში ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ოდნავ შემცირდა, 2015–16 წლებში 0–5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი კვლავაც მკვეთრად აღემატებოდა განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს[6]; თუ ამ ქვეყნებში სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყოველ 1000 ცოცხლადშობილზე 6–ს უდრის, საქართველოს შემთხვევაში, 2015 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილზე იყო 12[7], ხოლო 2016 წლის პირველადი მონაცემებით – აღნიშნული მაჩვენებელი მცირედით გაიზარდა (იხ. ცხრილი N1).

4 გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის ანგარიში. 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირებისა და აღმოფხვრის პოლიტიკისა და პროგრამების დანერგვის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ტექნიკური გზამკვლევი, 2014 წელი, პარ. 17. (Technical Guidance on the Application of a Human Rights-Based Approach to the Implementation of Policies and Programmes to Reduce and Eliminate Preventable Mortality and Morbidity of Children under 5 Years of Age, Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights).

5 იქვე, პარ. 20.

6 ბავშვთა სიკვდილიანობის სააგენტოთაშორისი ჯგუფის (IGME) მონაცემები. იხილეთ ბმული: http://www.childmortality.org/files_v20/download/IGME%20Report%202015_9_3%20LR%20Web.pdf

7 იქვე.

2016 წლის მონაცემებით, საქართველოში კვლავ მწვავე და პრობლემურია მდგომარეობა ჩვილ და 1–დან 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის პრევენციის მიმართულებით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული[8] პირველადი მონაცემები შედარდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2015 წლის მონაცემთან.[9] ცხრილშიც ჩანს (იხ. ცხრილი N1), რომ 0-6 დღემდე, 0-1 წლამდე და 1-5 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მცირედით, თუმცა მაინც მომატებულია ჩვილთა და 1–დან 5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების მაჩვენებელი. რაც შეეხება მკვდრადშობადობას, ეს მაჩვენებელი წინა წელთან[10] შედარებით შემცირებულია. ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი N1 – ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგებიდან იკვეთება, რომ ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის გამომწვევ რისკებს შორის ფიგურირებს ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და დროული სამედიცინო მომსახურების გაწევის პრობლემები, სამედიცინო დაწესებულებების, განსაკუთრებით კი ანტენატალური კლინიკებისა და სამშობიაროების სათანადო სამედიცინო ინვენტარითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვის საჭიროება და სხვა. ამასთან, ბავშვთა ჯანდაცვისა და სიცოცხლის უფლების დაცვის სფეროში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა.

საქართველოში პერინატალური სერვისების ხარისხის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარება 2015 წლიდან დაიწყო, თუმცა, ჯერაც არ დასრულებულა და მცირეა მისი გეოგრაფიული დაფარვის არეალი. ეს პროცესი სხვა კომპეტენციებთან ერთად მოიცავს სერვისების რეგიონალიზაციას (დონეებად დაყოფა). აღსანიშნავია, რომ პერინატალური მოვლის სისტემა სამ დონედ: მოვლის საბაზისო (I), მოვლის სპეციალიზებულ (II) და მოვლის სუბსპეციალიზებულ დონეებად (III) იყოფა. 2015-2016 წლებში ქვეყნის მასშტაბით შეფასებული 84 კლინიკიდან დონე განესაზღვრა 34 კლინიკას. განმეორებითი შეფასება ჩატარე-

8 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N01/3869.
9 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობა, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo
10 იქვე.

ბულია 23 კლინიკაში, ამასთან, 2017 წლის დასაწყისში, განმეორებით შეფასდა 17 კლინიკა[11], თუმცა მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი კლინიკების შეფასების პროცესი უფრო აქტიურად და დროულად განხორციელდეს.

რაც შეეხება 0–დან 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვევებზე ექიმთა მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელების საკითხს, 2016 წელს სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტო ბავშვთა სიკვდილიანობის (0–დან 1 წლამდე და 1–დან 5 წლამდე ასაკის) 21 საქმის შესწავლას შეუდგა. მათგან 10 საქმის შესწავლა დასრულდა და პროფესიული განვითარების საბჭოზე 12 ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი დაისვა. პროფესიული განვითარების საბჭომ განიხილა 1 საკითხი და 1 ექიმს დაეკისრა პროფესიული პასუხისმგებლობა, კერძოდ, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების ვადა 1 თვით შეუჩერდა[12]. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბავშვთა სიკვდილიანობის შესახებ მხოლოდ 1 საკითხზე იქნა გადაწყვეტილება მიღებული. მნიშვნელოვანია, რომ საბჭომ ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევებზე ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა გონივრულ ვადებში დაასრულოს.

2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა[13] საქართველოს მთავრობას 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის პრევენციისა და შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების თაობაზე.

აქვე დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა გრძელვადიანი სტრატეგია (2017–2030) და სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2017–2019). აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სტრატეგიული ინტერვენციები, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების, ოჯახის დაგეგმვისა და მოზარდთა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პრაქტიკაში ეფექტურად განხორციელება.

ჯანდაცვის უფლების განხორციელება საგანმანათლებლო დაწესებულებებში

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, სკოლებში ჯანდაცვისა და სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაცვის კუთხით, გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებს, იკვეთება მნიშვნელოვანი პრობლემები წყლის, კვების ორგანიზაციული წესების, სანიტარიისა და ჰიგიენის დაცვის მიმართულებით.

11 კორესპონდენცია N01/9217, 15/02/2017.
12 იქვე.
13 იხ. http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/winadadebebi/saxalxo-damcvelis-winadadeba-5-wlamde-bavshvta-sikvdilianobis-prevenciisa-da-shemcirebisatvis-sachiro-gonisdziebebis-shesaxeb.page

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლებში ახორციელებს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (საჯარო სკოლის) ტერიტორიაზე სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისა და სკოლის ექიმის საქმიანობის ქვეპროგრამას“, რომლის ფარგლებშიც, სკოლის ექიმის ფუნქციებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და მშობლების ინფორმირება/რეკომენდაციების გაცემა, ინფექციურ დაავადებათა პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა და მათი განხორციელების ხელშეწყობა, სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენური და პროფილაქტიკური ღონისძიების დაგეგმვა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველობა, სასკოლო კვების სტანდარტთან გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი და ა. შ., თუმცა საკმაოდ მცირეა იმ სკოლათა რიცხვი, სადაც ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტები.

ცხრილი N2 - საჯარო სკოლებში სამედიცინო კაბინეტების ფუნქციონირება[14]



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2016 წლის განმავლობაში შეისწავლა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში წყლის, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების მონიტორინგის სახელმწიფო მექანიზმის ეფექტიანობის საკითხები. შესწავლის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სასმელი წყლის უვნებლობისა და უსაფრთხოების საკითხებზე, პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მიერ ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისა და მონიტორინგის მექანიზმის ეფექტიანობის თემებზე.

შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის, სანიტარული და ჰიგიენური პირობების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს და ეწინააღმდეგება გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ძირითად პრინციპებს. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით იჩენს თავს მაღალმთიან რეგიონებსა და სოფლად მდებარე საჯარო სკოლებში.

14 კორესპონდენცია MES 9 17 00014962.

უნდა აღინიშნოს, რომ რიგი საჯარო სკოლების შესწავლამ გამოავლინა სკოლებში წყალმომარაგების სისტემების მოუწესრიგებლობის პრობლემა. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ნორმატიულ დონეზე არ არის განსაზღვრული მონიტორინგის ორგანო, რომელიც რეგულარულად შეამოწმებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში წყლის, სანიტარული და ჰიგიენური პირობების უვნებლობასა და უსაფრთხოებას. აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) სტანდარტების თანახმად, სასმელი წყლის მიღებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პოტენციური რისკი ზედამხედველობის შესაბამისმა ორგანომ უნდა შეაფასოს, რაც გულისხმობს ინსპექტირების სისტემურ პროგრამას, რომელმაც, შესაძლოა, მოიცვას აუდიტი, ანალიზი, სანიტარიული შემოწმება და სხვა ასპექტები[15].

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციის[16] თანახმად, აღნიშნული ორგანო არ არის ვალდებული აკონტროლოს საჯარო სკოლებში სასმელი წყლის ხარისხი და სანიტარიის დაცვა.[17] ამავე დროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის უვნებლობის სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციით,[18] 2015-2016 წლებში ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით, საჯარო სკოლებიდან აღებული სასმელი წყლის 45 სინჯი არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის ტექნიკურ რეგლამენტს,[19] რაც სასმელი წყლის ეპიდემიოლოგიურ არაკეთილსაიმედოობაზე მიუთითებს და წყლის არაეფექტიანი გაუსნებოვნებით არის გამოწვეული.

აღსანიშნავია ასევე გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც, 2010 წლის შემდეგ საჯარო სკოლებში წყლის ხარისხი სკოლების მხოლოდ 10 %-ში შემოწმდა. ამასთან, წყლის გაუვნებელყოფის სამუშაოები არასდროს ჩაუტარებია სკოლების 70%-ს. წყალმომარაგების მილსადენი სისტემით საჯარო სკოლების 70% სარგებლობს. სკოლების 4% ქალაქად და 12% სოფლად, წყლის ძირითად წყაროდ არაგაუმჯობესებულ წყალს იყენებს, სკოლების 70%-ში წყალმომარაგების მილსადენი სისტემა არ არის შეყვანილი საჯარო სკოლის შენობაში[20]. საანგარიშო წლის განმავლობაში მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა.

15 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. სასმელი წყლის ხარისხის გზამკვლევი. 2011, 9. (Guidelines for Drinking -water Quality).

16 კორესპონდენცია N MES 6 17 00040438, 18/01/2017.

17 იქვე.

18 კორესპონდენცია N09/9552, 06/12/2016.

19 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

20 http://unicef.ge/uploads/Standards_Water_Sanitation_and_Hygiene_in_School.GEO_1.pdf

ბავშვის სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისგან დაცვის უფლება

ქვეყანაში კვლავ პრობლემად რჩება ბავშვთა სიღარიბის კუთხით არსებული მდგომარეობა[21]. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, 2017 წლის დასკვნით შენიშვნებში[22] აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს და კვლავ მიუთითებს სახელმწიფოს 2008 წელს გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, ბავშვთა სიღარიბის კუთხით გასატარებელი ქმედებების შესახებ.

სახალხო დამცველის აპარატის შემოწმების შედეგების მიხედვით, არასრულწლოვანთა ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანის ერთ-ერთი არსებითი საფუძველი მათი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. ხშირ შემთხვევაში ამით არის განპირობებული არასრულწლოვანთა სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსება, რაც კითხვებს ბადებს და ეჭვქვეშ აყენებს სოციალური პროგრამების ეფექტიანობას. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი ბენეფიციარების 30% სახელმწიფო მზრუნველობაში სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო პირობების საფუძველზე განთავსდა.[23]

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციის თანახმად,[24] 2016 წლის დეკემბრის მონაცემებით, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულია სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობის) მიმღები 169 503 ბავშვი (18 წლამდე პირი), ხოლო 10 ლარიანი დანამატის მიმღები, 62 522 ოჯახი, რომლის წევრიც არის 16 წლამდე პირი. ეს მონაცემები ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განსაკუთრებულ სიმძიმეზე მეტყველებს. ხშირ შემთხვევაში მათ უჭირთ ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილება და მათთვის ცხოვრების სათანადო დონის უზრუნველყოფა. იკვეთება საკვებით, საყოფაცხოვრებო ნივთებით უზრუნველყოფის პრობლემები. გარკვეულ შემთხვევებში არასრულწლოვნებს სიღარიბის მიზეზით ეზღუდებათ განათლების ხელმისაწვდომობის უფლებაც.

აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მდგომარეობა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების რაოდენობის მნიშვნელოვნად განმაპირობებელი ფაქტორია. მიუხედავად ამისა, საკითხის დეტალურად შესასწავლად, სახელმწიფოს ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს, რაზეც სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული ინდივიდუალური საქმისწარმოების შედეგებიც მიუთითებს.

ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და სიღარიბის რისკების შესამცირებლად განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მიზნობრივი სოციალური დახმარების

21 ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობა საქართველოში, საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა, მეოთხე ეტაპი, 2015 წელი. იხ: http://unicef.ge/uploads/WMS-2015-GEO.pdf

22 გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი. „საქართველოს მე–4 პერიოდული მოხსენების დასკვნითი შენიშვნები". 2017 წელი. (Concluding observations on the fourth periodic report of Georgia, CRC/C/GEO/CO/4).

23 სპეციალური ანგარიში, მინდობით აღზრდის სახელმწიფო ქვეპროგრამის მონიტორინგის შესახებ. გვ.24 იხ. http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3823.pdf

24 კორესპონდენცია - 01.02.2017 – N04/5904

სისტემის სიძლიერე და ეფექტიანობა. ქვეყანაში მოქმედი სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამას, რომლის ამოცანაც სიღატაკეში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის მიტოვების რისკის შემცირებაა.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით,[25] „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამით 2016 წლის განმავლობაში მოსარგებლე ოჯახებისა და ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფილი ბავშვების მაჩვენებელი ასე გამოიყურება:

ცხრილი N3 - პროგრამაში ჩართული ბავშვების/ოჯახების მაჩვენებელი



საქართველოს სახალხო დამცველის შესწავლის შედეგებმა გამოავლინა ქვეპროგრამაში ჩართვასა და სარგებლობასთან დაკავშირებული ხარვეზები. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ქვეპროგრამით მოსარგებლე ოჯახების რიცხვი მკვეთრად ჩამორჩება საარსებო შემწეობის მიმღებ ბავშვთა და დანამატის მიმღებ ოჯახთა რაოდენობას. ამასთან, გადაწყვეტილების მიმღები კომისიის სხდომების ჩატარების განრიგი დროში განსაზღვრული არ არის, რაც შედეგად გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურებას იწვევს. ოჯახებს, რიგ შემთხვევებში, წლების განმავლობაში უწევთ ლოდინი ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად.

ეს ართულებს, როგორც ქვეპროგრამის ამოცანის, ასევე სახელმწიფო პროგრამის მიზნის განხორციელებას. გარკვეულ შემთხვევებში, კომისიის მიერ

25 კორესპონდენცია - 01.02.2017 – N04/5904

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ოჯახის საჭიროებები უკვე შეცვლილია – ისინი სხვა რისკისა და საჭიროების წინაშე დგანან. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა რამდენიმე ისეთი შემთხვევა განიხილა, როდესაც ოჯახებს 2014-2015 წლებში ჰქონდათ მიმართული, მაგრამ კომისიას მათი საკითხი 2016 წლის მდგომარეობით, ჯერ კიდევ არ ჰქონდა განხილული.

აღსანიშნავია, რომ სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფას“, რომლის მიზანიც არის ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება. მომსახურების დატოვების შემდეგ დედები კვლავ არ არიან მზად დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და თავშესაფარში მოხვედრამდე არსებული პრობლემების წინაშე დგებიან. სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარე საქმისწარმოებამ გამოავლინა, რომ უმეტეს შემთხვევაში მათ არ აქვთ საცხოვრებელი და უჭირთ შვილების საჭიროებების დაკმაყოფილება და მათთვის ცხოვრების სათანადო პირობების შექმნა.

ბავშვთა შრომა და შრომის უკიდურესი ფორმები

ბავშვთა შრომის სფეროში საქართველოში არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევები სახელმწიფოს ეფექტიან რეაგირებას მოითხოვს. მოქმედი კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, მნიშვნელოვან დახვეწასა და განვითარებას საჭიროებს. განსაკუთრებით პრობლემურია „სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ“ და „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციების ეროვნულ დონეზე ეფექტიანი აღსრულება.

„ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის მიხედვით, არასრულწლოვანთა შრომის უკიდურესი ფორმების აღმოსაფხვრელად,, ეროვნულ დონეზე უნდა შემუშავდეს პრიორიტეტული სამოქმედო გეგმა და მისი განხორციელების ეფექტიანი მექანიზმი[26]. აღნიშნული მექანიზმი კი დღემდე არ გვხვდება ეროვნულ კანონმდებლობაში, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს არასრულწლოვანთა შრომითი ექსპლუატაციის პრევენციასა და შრომითი უფლებების დაცვას.

ეროვნული კანონმდებლობით დადგენილია მინიმალური სტანდარტები არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების სფეროში; კანონმდებლობა არეგულირებს ბავშვთა შრომითი უფლებების ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა არასრულწლოვანთა შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა, მინიმალური ასაკი, შრომითი პირობებისადმი მიმართული მოთხოვნები და სხვა. მიუხედავად აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციებისა, პრაქტიკაში საკმაოდ მძიმე მდ-

26 „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის შესახებ“ კონვენცია N182, მუხლი 5, 6, 7 (2).

გომარეობაა არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების დაცვისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის კუთხით. არ მოქმედებს ეფექტიანი მონიტორინგისა და შემთხვევათა გამოვლენის სისტემა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლების მსგავსად, ქვეყანაში კვლავაც პრობლემურია ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხები, მათი დაცვისა და დახმარების სისტემის ეფექტიანობა.

2015–16 წლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოავლინა სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრირებულ ბავშვთა სავარაუდო შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევები. კერძოდ, ბავშვებს[27] უხდებოდათ თავიანთ ასაკთან შეუსაბამო შრომითი სამუშაოების შესრულება სხვადასხვა კერძო სამუშაოებზე, რაც საფრთხეს უქმნიდა ბავშვების განათლებისა და ჯანდაცვის უფლების ეფექტიან აღსრულებას.

წამყვანი ფაქტორი, რის გამოც ბავშვებს უხდებათ თავიანთ ასაკთან და ფსიქო-ფიზიკური განვითარების დონესთან შეუსაბამო სამუშაოს შესრულება, სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონეა. აღნიშნული ფაქტორების კვალდაკვალ, უნდა აღინიშნოს სახელმწიფოს პასუხისმგებელი უწყებების პოზიტიური ვალდებულების შესრულების ნაკლებეფექტიანობაც. კერძოდ, ხშირ შემთხვევებში დროულად არ ვლინდება ბავშვთა შრომისა თუ შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევები. ასევე, განსაკუთრებით აქტუალურია საკურორტო ადგილებში, ზღვის სანაპიროზე ბავშვთა შრომის საკითხი. არასრულწლოვნებს, სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, სეზონურად საკმაოდ მძიმე სამუშაოს შესრულება უხდებათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ხშირია ბავშვთა შრომის საფუძველზე სკოლის მიტოვების შემთხვევები და ოჯახებში სეზონური სამუშაოების შესრულების მიზეზით სკოლის გაცდენის ფაქტები.

ცხრილი N4 – შრომის გამო სკოლის მიტოვების მაჩვენებელი[28]



27 იგულისხმება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის N01–20/6 ბრძანებით „რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების განსაზღვრის შესახებ“ დამტკიცებულ ქვეპროგრამაში ჩართული ბენეფიციარები.

28 კორესპონდენცია N MES 3 17 00214261, 06/03/2017.

პრობლემურია ბავშვთა შრომითი მიგრაციის საკითხი. ააიპ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ კვლევის[29] შედეგების მიხედვით, არასრულწლოვნებს ქვეყნის გარეთაც უხდებათ სეზონურად სხვადასხვა სამუშაოს შესრულება არანორმირებულ და ზეგანაკვეთურ სამუშაო პირობებში. კერძოდ, აჭარისა და გურიის რეგიონებში მცხოვრები არასრულწლოვნები სეზონურად საშუალოდ 9 საათს მუშაობენ მძიმე და შრომატევად სამუშაოზე თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე.[30] აღნიშნული კვლევის მიხედვით, მცირეა შრომითი მიგრაციის დროს სექსუალური ძალადობის შემთხვევები, თუმცა 5 რესპონდენტმა მსგავს ქმედებაზე მიუთითა.[31]

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის ანალიზიდან იკვეთება, რომ პრობლემურია არასრულწლოვანთა შრომის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრისა და დროული რეფერირების საკითხი, განსაკუთრებით კი, ბავშვთა ტრეფიკინგის, პროსტიტუციაში ჩაბმის, პორნოგრაფიული ნაწარმოების უკანონო დამზადებასა და გასაღების საქმეებზე დაწყებული გამოძიებისა და სამართალდამცავთა განხორციელებული ღონისძიებების კუთხით[32] (იხილეთ ცხრილი N5). ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის თანახმად[33], საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მონაცემებით, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს პატრულ–ინსპექტორები, მოქალაქეების შეტყობინების საფუძველზე, არასრულწლოვანთა სავარაუდო შრომითი ექსპლუატაციის მხოლოდ 2 ფაქტთან დაკავშირებით იყვნენ გამოძახებული; თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციით, სამინისტროში ტერიტორიული ორაგნოებიდან ბავშვთა სავარაუდო შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევებთან დაკავშირებით ინფორმაცია არ შესულა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს **სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან რეფერირების (მიმართვიანობის) პროცედურა არ განუხორციელებია.**[34]

29 „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“, „აჭარისა და გურიის რეგიონებიდან თურქეთში არასრულწლოვანთა შრომითი მიგრაციის პრაქტიკის შესწავლა“, 2015–2016.

30 იქვე.

31 იქვე.

32 კორესპონდენცია N2426105, 27.09.2016.

33 კორესპონდენცია N MIA 6 17 00518054, 02/03/2017.

34 იქვე.

ცხრილი N5 – 2015–2016 წლებში ბავშვთა შრომითი ექსპლუატაციის სავარაუდო შემთხვევებზე გამოძიების დაწყების წინასწარი მაჩვენებელი[35]



სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, შრომითი ექსპლუატაციის გამო საერთო ჯამში 150 არასრულწლოვანი იყო განთავსებული სახელმწიფო მზრუნველობაში.[36] ამასთან, ამავე სააგენტოს ინფორმაციით[37], შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლი არასრულწლოვნები ირიცხებიან მინდობით აღზრდის, მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების ქვეპროგრამაში, დღის და სადღეღამისო თავშესაფრებში, სადაც ჩარიცხული ბენეფიციარები სარგებლობენ ცენტრის და ფსიქოლოგის მომსახურებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი სახელმწიფო დახმარების ქვეპროგრამაში“ შრომითი ექსპლუატაციის შედეგად დაზარალებული 12 ბენეფიციარი ჩაერთო.[38]

სააგენტოს თანახმად, 2016 წელს შრომითი ექსპლუატაციის ძირითადი ფორმები იყო: წვრილმანი ნივთებით ვაჭრობა, ჯართის შეგროვება, მოწყალების თხოვნა. ამასთან, 2016 წელს სააგენტოში შეტყობინება ბავშვთა შრომის 7 შემთხვევაზე შევიდა, რომელთა რეფერირებაც განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.[39]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულია შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა, სახელმწიფოს არ აქვს ქმედითი მექანიზმი ბავშვთა შრომითი უფლებების მონიტორინგისთვის. პროგრამის განხორციელების ხარვეზებიდან კი უნდა აღინიშნოს დამსაქმებლისგან თანხმობის საჭიროებისა და სანქცირების ეფექ-

35 ცხრილში ასახულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული წინასწარი მონაცემები.
36 კორესპონდენცია N04/71204, 21/09/2016.
37 კორესპონდენცია N04/71204, 21/09/2016.
38 იქვე.
39 იქვე.

ტიანი მექანიზმის არარსებობა. ამასთან, პროგრამა არ ადგენს არასრულწლოვანთა შრომითი პირობების მონიტორინგის სპეციფიკურ რეგულაციებს.

აღნიშნულ პრობლემებზე მიუთითებს შრომისა და დასაქმების ინსპექტირების დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც 2016 წლის განმავლობაში განხორციელებული ინსპექტირების შედეგად, არასრულწლოვანთა დასაქმების შემთხვევები წინასწარი მონაცემებით 6 ორგანიზაციაში დაფიქსირდა.[40] გამოვლენილი დარღვევები უმეტესწილად დაკავშირებულია მიკროკლიმატისა და სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაუცველობასთან, ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის სისტემების არარსებობასთან და ა. შ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი[41], არასრულწლოვანთა მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლის მიზნით, გაეცნო საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მოპოვებულ რვა სისხლის სამართლის საქმეს. გამოვლენილი ხარვეზები და შესაბამისი რეკომენდაციები აისახა სპეციალურ ანგარიშში, „არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“.[42]

ხსენებული კვლევა ეხება არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებებს სისხლის სამართლის პროცესში. დოკუმენტში განხილულია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ გამოსაყენებელი პროცედურები და პრაქტიკა, სამართალდამცავ ორგანოებთან ბავშვის პირველი კონტაქტიდან სასამართლო განხილვის ჩათვლით, ასევე სასჯელის აღსრულების ნაწილს.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოთხოვილი საქმეების შესწავლისას ყურადღება გამახვილდა მხოლოდ პროცედურული გარანტიების აღსრულების ხარისხზე.[43] კვლევის შედეგად გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები, კერძოდ, დაკავების პროცედურების, საგამოძიებო მოქმედების ოქმების სრულყოფილად შედგენის, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის დროულად მომზადების პრობლემები და სხვა.[44]

40 კორესპონდენცია N04/71204, 21/09/2016.

41 არასამთავრობო ორგანიზაციის, „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“, პროექტის, „არასრულწლოვანი ბრალდებულების უფლებები სისხლის სამართლის პროცესის“, ფარგლებში.

42 იხ. http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/arasrulwlovani-braldebulis-uflebebi-sisxlis-samartlis-processhi.page

43 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რვა სისხლის სამართლის საქმის შესწავლა, ბუნებრივია, ვერ წარმოაჩენს სრულად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით არსებულ პრობლემატიკას, თუმცა, არსებობს მსგავსი პრაქტიკის ფართო გავრცელების შესაძლებლობის მაღალი ალბათობის ვარაუდი.

44 არასამთავრობო ორგანიზაციამ, „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“, ასევე გამოავლინა საყურადღებო საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და გასცა კონკრეტული რეკომენდაციები ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის მიზნით გადასადგმელი ნაბიჯების მიმართულებით; იხ. http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/arasrulwlovani-braldebulis-uflebebi-sisxlis-samartlis-processhi.page

ბავშვის მიმართ ძალადობა

საქართველოში კვლავ პრობლემად რჩება ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენცია, შემთხვევათა დროული გამოვლენა და დაცვისა და დახმარების ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება. საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებთან ერთად, პრობლემურია სერვისების მიწოდებისას არსებული ხარვეზები, რაც ბავშვის ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან დაცვის მაჩვენებელზე ნეგატიურად აისახება.

2016 წელს ბავშვის მიმართ ძალადობის სფეროში კანონმდებლობის დახვეწის კუთხით, აღსანიშნავია სოციალური მუშაკების როლის გაძლიერებისკენ მიმართული საკანონმდებლო ცვლილება. მათ შორის, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ნებისმიერი ფორმის არსებობისას მოძალადისაგან არასრულწლოვნის განცალკევების შემთხვევაში სოციალური მუშაკის როლის გაძლიერებასა და მისი ჩართულობის გაზრდას. თუმცა, საკანონმდებლო მოწესრიგებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არსებული რეგულაციების პრაქტიკაში ეფექტიანი აღსრულება, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საანგარიშო პერიოდშიც.

განსაკუთრებული სიმწვავით ხასიათდება ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობა; სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგებიც ცხადყოფს, რომ პრობლემურია ბავშვის მიმართ უგულებელყოფისა და ძალადობის სხვა ფორმების გამოვლენა და განმეორებითი ძალადობისგან დასაცავად დროული რეაგირება. გამოვლენის დაბალ მაჩვენებელს საზოგადოებაში ბავშვზე ძალადობის გავლენასა და კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე და ხშირ შემთხვევაში, გულგრილობა განაპირობებს. ამასთან, არსებით გავლენას ახდენს ბავშვისთვის მეგობრული სერვისების ეფექტიანი მიწოდებისას არსებული ხარვეზები და პასუხისმგებელ უწყებებს შორის კოორდინაციის დაბალი მაჩვენებელი.

ზემოაღნიშნული პრობლემების კუთხით, საქართველოს სახალხო დამცველის პრაქტიკიდან აღსანიშნავია შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვნის მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, როგორც სოციალური მომსახურების სააგენტომ, ისე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ რეაგირება მხოლოდ სახალხო დამცველის მიმართვის შემდეგ განახორციელა. მაშინ როდესაც, არასრულწლოვნის ინფორმაციით, აღნიშნულ საკითხზე ის სოციალურ მუშაკს აპარატისადმი მომართვამდე ესაუბრა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, 2016 წელს ბავშვის მიმართ განხორციელებული სხვადასხვა ფორმის ძალადობის 755 ფაქტი გამოვლინდა. მათგან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფერირება განხორციელდა 426 შემთხვევაზე.

ცხრილი N6 – ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევათა 2016 წლის სტატისტიკა[45]



2016 წელს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგებმა საქართველოს მასშტაბით მომსახურება გაუწიეს 376 არასრულწლოვანს. აქედან ნათლად ჩანს, რომ პრობლემად რჩება ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციის პროცესი - ფსიქოლოგების დროული ჩართულობა და ფსიქოლოგიური სერვისის ხელმისაწვდომობა. აღნიშნული პრობლემა გამოწვეულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგთა არასაკმარისი რაოდენობით. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[46] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში, ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ 11 ფსიქოლოგია დასაქმებული.

რაც შეეხება ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, მოწოდებული ინფორმაციით, 2016 წელს არასრულწლოვნის ცემის 67 ფაქტზე დაიწყო გამოძიება.[47] მათგან ტერიტორიული განფენილობის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია თბილისში (26 შემთხვევა) და ქვემო ქართლში (13 შემთხვევა). ოჯახში ძალადობის ფაქტზე, 2016 წელს გამოძიება დაიწყო 95 შემთხვევაზე, დაზარალებულის სტატუსი კი მიენიჭა 110 არასრულწლოვანს. ყველაზე მაღალი მაჩვენებელია თბილისში (36 შემთხვევა), იმერეთში, რაჭა–ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (23 შემთხვევა) და ქვემო ქართლში (12 შემთხვევა).

მიღებული სტატისტიკური ინფორმაციიდან ირკვევა, რომ მაღალია მაჩვენებელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140–ე („სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან“) მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებებზე. 2016 წელს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ 250 სავარაუდო დანაშაულის ფაქტზე

45 სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კორესპონდენცია N 04/1731; 12/01/2017.
46 იქვე.
47 წერილი N153909, 20.01.2017.

დაიწყო გამოძიება, ხოლო დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 189 არასრულწლოვანს. რეგიონების მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია კახეთში (55 შემთხვევა), ქვემო ქართლში (50 შემთხვევა), იმერეთში, რაჭა–ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (46 შემთხვევა), სამეგრელო-ზემო სვანეთში (31 შემთხვევა).

სისხლის სამართლის კოდექსის 150[1] მუხლის მე-2 ნაწილით - ქორწინების იძულება ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ - გამოძიება დაიწყო მხოლოდ 2 შემთხვევაზე, ხოლო საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 1 არასრულწლოვანს. სსკ 171–ე მუხლით („არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში“) გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ფაქტზე 2016 წელს გამოძიება დაიწყო მხოლოდ ერთ შემთხვევაზე, დაზარალებულის სტატუსი კი მიენიჭა 2 არასრულწლოვანს. აღნიშნული პრობლემების მასშტაბიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, არსებული სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს მსგავსი ფაქტების გამოვლენის სირთულესა და პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებს შორის კოორდინაციის ნაკლებობაზე.

აღსანიშნავია ოჯახში ძალადობისგან ბავშვთა დაცვის ღონისძიებების გამოყენების დაბალი მაჩვენებელი. ბავშვის დასაცავად გამოცემული შემაკავებელი ორდერების რიცხვი (133) 2016 წელს გამოცემული შემაკავებელი ორდერების მთლიანი რაოდენობის (2877) მხოლოდ 4,6 პროცენტს შეადგენს. სამწუხაროდ, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ვერ მოგვაწოდა სტატისტიკური ინფორმაცია იმ მუხლებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით, სადაც დაზარალებულია არასრულწლოვანი, რადგან ამგვარ სტატისტიკას არ აწარმოებენ.

ცხრილი N7 – ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების 2016 წლის სტატისტიკა



მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობის თითოეულ შემთხვევას მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება სამართალდამცავი უწყების მხრიდან, დროულად დაიწყოს გამოძიება და განხორციელდეს ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება. ამასთან, არასრულწლოვნის მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე დროულად ჩაერთოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, ხოლო პასუხისმგებელ ორგანოებს შორის კოორდინაცია მუდმივ ხასიათს ატარებდეს.

ძალადობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში

2016 წლიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით ატარებს საჯარო სკოლებისა და სკოლა პანსიონების მონიტორინგს ძალადობის საკითხებზე.[48] საანგარიშო პერიოდში, მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 30 საჯარო სკოლასა და ოთხ სკოლა-პანსიონში სამეგრელო-ზემო სვანეთის, მაღალმთიანი აჭარის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში.

მონიტორინგის პირველადი შედეგები ცხადყოფს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გავრცელებულია მასწავლებლების მხრიდან ძალადობრივი და დამამცირებელი დამოკიდებულება მოსწავლეთა მიმართ. ამასთან, თვალსაჩინოა მოსწავლეთა შორის არსებული ბულინგის ფართო მასშტაბები.

მოსწავლეთა მიმართ ძალადობის ფაქტებს ავლენს და ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში გადაამისამართებს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური.[49] რეფერირების პროცედურაზე პასუხისმგებელი სუბიექტი არის სწორედ მანდატური, ხოლო იმ სკოლებში, სადაც მანდატურის სამსახური არ ფუნქციონირებს - დირექტორი ან დირექტორის მოადგილე. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სკოლების საერთო რაოდენობასთან შედარებით, მცირეა იმ სკოლების რიცხვი, სადაც მოვალეობას საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური ასრულებს (იხ. ცხრილი N8). მონიტორინგის შედეგების მიხედვით, საჯარო სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობისა და დაწესებულების ტერიტორიის ფართობიდან გამომდინარე, მანდატური ესაჭიროებათ, ეს სამსახური მოცემულ ეტაპზე არ ფუნქციონირებს.

48 საჯარო სკოლებისა და სკოლა-პანსიონების მონიტორინგის შედეგები სრულად აისახება სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში.

49 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ფუნქციონირებს 7 ქალაქში: თბილისში, რუსთავში, თელავში, ქუთაისში, ბათუმში, გორსა და ფოთში.

ცხრილი N8 - სკოლები, სადაც მოვალეობას ასრულებენ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები[50]



მონიტორინგმა გამოავლინა მოსწავლეთა შორის ბულინგი, რაც არასრულწლოვანთა ურთიერთობის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. ჩატარებული ფოკუს–ჯგუფებისა და შევსებული კითხვარების მიხედვით ირკვევა, რომ სკოლაში ხშირია მოსწავლის დამცირება, ზედმეტსახელის დარქმევა, დაცინვა, ჭორების გავრცელება, გარიყვა, ფიზიკური შეურაცხყოფა, პირადი ნივთების გადამალვა ან დაზიანება, კიბერბულინგი. მონიტორინგის შედეგებიდან ირკვევა, რომ სკოლის დირექციის, ისევე, როგორც პედაგოგებისთვის და რიგ შემთხვევაში, მანდატურებისთვისაც, გამოწვევად რჩება სავარაუდო ბულინგისა და ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება. ისინი მოსწავლეთა შორის ბულინგის შემთხვევებს ბავშვურ ხუმრობად და ერთჯერად შელაპარაკებად აღიქვამენ. აღნიშნული პრობლემის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 12 სექტემბრის მთავრობის დადგენილების საფუძველზე, საჯარო სკოლების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული, ძალადობასთან დაკავშირებული რეგულაციის ცოდნისა და ამ მიმართებით პასუხისმგებლობის გააზრების ხარვეზები.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს, წინა წელთან შედარებით სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში, რეგიონების უმრავლესობიდან იმატა რეფერირების მექანიზმის საშუალებით ბენეფიციართა გადამისამართების მაჩვენებელმა (იხ. ცხრილი N9). მსგავსი ტენდენცია აღინიშნება, ასევე, ოჯახში ძალადობის შესახებ ეჭვის შემთხვევაში სოციალური მომსახურების სააგენტოში მოსწავლეთა გადამისამართებასთან დაკავშირებით (იხ. ცხრილი N10). თუმცა, მე–9 და მე–10 ცხრილებში მოცემული სტატისტიკა[51] მაინც არ ასახავს ძალადობის გავრცელების სრულ სურათს, იდენტიფიცირების ზემოაღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით.

50 კორესპონდენცია MES 2 16 01107728.
51 კორესპონდენცია MES 9 17 00014962.

ცხრილი N9 – სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში რეფერირებულ ბენეფიციართა სტატისტიკა ტერიტორიული განფენილობის მიხედვით



ცხრილი N10 - სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ სოციალური მომსახურების სააგენტოში რეფერირებულ ბენეფიციართა სტატისტიკური მონაცემები ტერიტორიული განფენილობის მიხედვით



საჯარო სკოლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შეხვედრების და კითხვარების საშუალებით გამოკითხული მოსწავლეები მიუთითებენ მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეების მიმართ ძალადობრივი და დამამცირებელი დამოკიდებულების შესახებ. როგორც ირკვევა, ხშირია ყვირილი, წამორტყმა/ფიზიკური შეხება, თმის მოქაჩვა, კუთხეში დაყენება, მუქარა, შეურაცხყოფა/დამამცირებელი სიტყვებით მიმართვა, გაკვეთილის მანძილზე ფეხზე დაყენება, გალანძღვა/ შერცხვენა კლასის, კლასელებისა თუ სკოლელების წინაშე, დამცირება ჩაცმის სტილის, აქსესუარებისა და ფიზიკური გარეგნობის გამო, მოსწავლის მიერ, მისი დასჯის მიზნით, სასკოლო ტერიტორიის დალაგება (რიგ შემთხვევებში, შინაგანაწესის მიხედვით, სკოლის ადმინისტრაცია იყენებს, როგორც დისციპლინურ სახდელს), კლასიდან გაძევება (შინაგანაწესის მიხედვით, შესაძლოა გამოიყენებოდეს, როგორც დისციპლინური სახდელი).

მოსწავლეები, კითხვაზე, მიმართავენ თუ არა დახმარებისთვის სკოლას მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ხშირად პასუხობენ - „აზრი არ აქვს“, „არაფერი შეიცვლება“, „არავის ვენდობი“, „უმჯობესია, თვითონ მოვაგვარო პრობლემა“. მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ ხშირად, სკოლაში ადმინისტრაციისა და პედაგოგების მხრიდან მოსწავლის მიმართ სავარაუდო ძალადობრივ ქმედებაზე, როგორც უფლებადარღვევის ფაქტზე, მოსწავლის რეაგირება აუარესებს არასრულწლოვანის მდგომარეობას სკოლაში.

კითხვაზე, რა ზომას მიმართავენ სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი ბავშვის მიმართ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან უგულებელყოფის, ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შემთხვევის აღმოჩენისას, ხშირია პასუხი - „ვუკავშირდები მშობელს“. მხოლოდ მცირე ნაწილი მიუთითებს, რომ უკავშირდებიან შესაბამის სამსახურს.

ცხრილი N11 – „ვუკავშირდები მშობელს“



ცხრილი N12 – „ვუკავშირდები შესაბამის სამსახურს“



მიუხედავად იმისა, რომ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დირექტორებს და პედაგოგებისა და მანდატურების ნაწილს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არასრულწლოვნების მიმართ სავარაუდო ძალადობის პრევენციის, იდენტიფიცირებისა და რეაგირების თემებზე ტრენინგები ჩაუტარეს, ამგვარი შედეგები იმაზე მიუთითებს, რომ ჩატარებული ღონისძიებები არ არის საკმარისი.

ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის უფლება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესებს მშობელთა თანაბარუფლებიანობის პრინციპს შვილების მიმართ და განსაზღვრავს, რომ შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსგან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად[52], 2016 წლის განმავლობაში ბავშვთან (შვილთან) ურთიერთობის საკითხზე არსებული სასამართლო დავის 737 ისეთი შემთხვევაა აღნუსხული, რომელთა შესწავლაში მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს წარმომადგენლებმა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, შევიდა 140 მიმართვა. განცხადებებიდან აღსრულებულია ან სხვა მიზეზით დასრულებულია 89 საქმე. ამ ეტაპზე, სხვადასხვა მიზეზით, არ აღსრულებულა 44 საქმე, მათ შორის, ვალდებული მხარის მიერ ბავშვზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზემოქმედების, ბავშვის უარის, აღსრულებით დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობის, უფლებამოსილი პირის მიერ პროცესის შეჩერების გამო.

აღსანიშნავია, რომ კვლავ პრობლემად რჩება ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან სხვა ოჯახის წევრის ურთიერთობის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული საქმეების აღსრულება. სახალხო დამცველი მსგავს პრობლემაზე 2012-2015 წლების საპარლამენტო ანგარიშებშიც მიუთითებდა და გამოყოფდა სოციალური მუშაკის როლს ამ პროცესში. კვლავ პრობლემად რჩება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესის მიმდინარეობისას, არასრულწლოვანთა მიმართ ოჯახის წევრების მხრიდან ფიზიკური/ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და კანონით გათვალისწინებული რეაგირება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის საქმისწარმოების შედეგებმა ცხადყო, რომ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის

52 კორესპონდენცია 13.01.2017 – N10-4/4606.

განსაზღვრასთან დაკავშირებით მშობლებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სასამართლოსადმი მიმართვამდე, მშობელი, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი, არ აძლევს მეორე მშობელს შვილთან კონტაქტის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი დროში ჭიანურდება და სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე, უმეტეს შემთხვევაში, არასრულწლოვანს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს. ხშირ შემთხვევაში, ერთი მხარე განმარტავს, რომ ბავშვი თავად ამბობს უარს მეორე მშობელთან კონტაქტზე და/ან ეს საფრთხეს წარმოადგენს არასრულწლოვნის უსაფრთხოებისა და ინტერესებისათვის. მშობლებს შორის ბავშვის საცხოვრებელი ადგილისა და ნახვის საკითხებთან დაკავშირებული შეუთანხმებლობისა და დავის დროს, რეალურია საფრთხე, რომ ბავშვი ფსიქოლოგიური ზეწოლის მსხვერპლი გახდეს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს არასრულწლოვნის დაცვის უფლებას მშობელთა/სხვა კანონიერ წარმომადგენელთა მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისგან. საქმისწარმოების შედეგებმა გამოავლინა, რომ ბავშვის აზრს, მისი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის პროცესში, ჯეროვნად არ ითვალისწინებენ. ასევე, პრობლემად რჩება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დროული და ეფექტიანი რეაგირება მსგავს შემთხვევებზე. კერძოდ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, ხშირ შემთხვევაში, საკითხს ერთობლიობაში, კერძოდ, ორივე მშობლის პოზიციის შესწავლისა და შეჯერების გზით და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, არ შეისწავლის. ხშირად, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ფსიქოლოგის ჩართვის საჭიროებაც.

ზემოაღნიშნული პრობლემები მიუთითებს, რომ ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები ბავშვის არასრულწლოვნების უსაფრთხოების გათვალისწინებით ვერ უზრუნველყოფენ მშობელთა თანაბარუფლებიანობის პრინციპზე დაფუძნებულ ორივე მშობელთან კონტაქტს, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე, ასევე, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

განათლების უფლება

ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება

მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს პარლამენტის მიერ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება. აღსანიშნავია, რომ კანონის მიღებამდე ქვეყანაში არ მოქმედებდა ერთიანი ნორმატიული აქტი, რომელიც დაარეგულირებდა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში ბენეფიციართა უფლებრივ მდგომარეობას და განსაზღვრავდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობისა და განვითარების სამართლებრივ საფუძვლებს.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კვლავ რჩება მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც სახალხო დამცველის რეკომენდაციების მიუხედავად, კანონში არ ასახულა. კერძოდ, კანონი არ განსაზღვრავს პასუხისმგებელ უწყებებს პედაგოგების მომზადებასა და პროფესიულ გადამზადებაზე. ასევე, შესაბამისი უწყებების ვალდებულებას თავიანთი სფეროს სტანდარტების მონიტორინგზე, რაც აუცილებელი მექანიზმია დაწესებულებებში გამართული სააღმზრდელო პირობების არსებობისთვის. ასევე, უნდა გადაიხედოს კანონის 22–ე მუხლი სკოლამდელი აღზრდის ჯგუფების მოცულობისა და აღმზრდელ–პედაგოგთა პროპორციული თანაფარდობის რაოდენობრივი მაჩვენებლის შემცირების კუთხით.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში გაჭიანურდა პასუხისმგებელი უწყებების მიერ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების“,[53] „აღმზრდელ–პედაგოგთა პროფესიული სტანდარტის“,[54] კვების, სანიტარულ–ჰიგიენური ნორმებისა და ინფრასტრუქტურის სფეროების მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების[55] მომზადებისა და გონივრულ ვადებში დამტკიცების პროცედურა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოიკვეთა კერძო სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული პრობლემები ბავშვთა უსაფრთხოების დაცვისა და ზედამხედველობის სისტემის ნაკლებეფექტიანობის კუთხით, მათ შორის, სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი ერთ–ერთი საქმის თანახმად, აღმოჩნდა, რომ სკოლამდელ დაწესებულებაში არ იყო დაცული მცირეწლოვანი ბავშვის უსაფრთხოება, რის გამოც არასრულწლოვანმა მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება. ასევე აღსანიშნავია, რომ ვერც ადგილობრივი თვითმმართველობის პასუხისმგებელი ორგანოები აკონტროლებენ ეფექტიანად სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა მდგომარეობას, რაც ართულებს ბენეფიციართა უგულებელყოფისა თუ ძალადობის ფაქტების გამოვლენას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცნობილი გახდა რამდენიმე შემთხვევის შესახებ, როდესაც სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში ადგილი ჰქონდა ბენეფიციართა უგულებელყოფასა და სავარაუდო ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ ძალადობას. გამოვლინდა დაწესებულებაში უსაფრთხოების ნორმების დარღვევის ფაქტიც, რის შედეგადაც აღსაზრდელმა დაწესებულება აღმზრდელთა უყურადღებობის გამო დატოვა, რაც ბავშვის უგულებელყოფისა და აღმზრდელ–პედაგოგთა პასუხისმგებლობის საგანს წარმოადგენს.[56] ზემოაღნიშნული პრობლემების პარალელურად უნდა ითქვას, რომ საბავშვო ბაღებში დღემდე არ მიმდინარეობს აღმზრდელ–პედაგოგთა სისტემური გადამზადება ბენეფიციართა რთული ქცევის მართვის, ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის სფეროებში.

ადრეული და სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის სფეროში კვლავ პრობლემური საკითხია დაწესებულებების სათანადო ინფრასტრუქტურა და ბავშვთა

53 „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 28–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.
54 იქვე, 28–ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.
55 იქვე, 28–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები.
56 აღსაზრდელი დროებით გაუჩინარდა დაწესებულების ტერიტორიიდან.

განვითარებისათვის საჭირო სასწავლო–სააღმზრდელო ინვენტარით უზრუნველყოფა. შესაბამისად, მნიშნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტების პასუხისმგებელმა ორგანოებმა გამოყონ სათანადო დაფინანსება საბავშვო ბაგა–ბაღების აღნიშნული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ზოგადი განათლების უფლება

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის[57] თანახმად, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საშუალო განათლების ხელმისაწვდომობა თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე. აღნიშნულ პრინციპს ითვალისწინებს საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ და სახელმწიფოს ვალდებულებად განსაზღვრავს ზოგადი განათლების ღიაობასა და ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის (CRC) სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე, განათლების უფლების ხელმისაწვდომობა თანაბრად უნდა იყოს დაცული დამოუკიდებლად იმისა, არასრულწლოვანი კერძო სამართლებრივი ფორმის მქონე სკოლაში იღებს ზოგად განათლებას თუ საჯარო სკოლაში, პრაქტიკამ წარმოაჩინა კერძო სკოლებში მოსწავლეთა უფლებების სავარაუდო ხელყოფის ფაქტების რიგი შემთხვევები. თუმცა, რადგან არასრულწლოვნები კერძო სკოლაში ირიცხებოდნენ, ამ ფაქტებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ზოგადი განათლების უფლების ეფექტიანი აღსრულების მიმართულებით არსებული პრობლემებიდან აღსანიშნავია საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროება (იხ. ცხრილები N13–14), ზოგადი განათლების უფლების ეფექტიანი იმპლემენტაცია, განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა როგორც სოფლად, ასევე – მაღალმთიან რეგიონებში.

ცხრილი N13 – საჯარო სკოლებში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების რაოდენობრივი მაჩვენებელი



57 გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია, მუხლი 28.

ცხრილი N14 – 2016 წელს საჯარო სკოლებში განხორციელებული სარემონტო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები რეგიონების მიხედვით



წარმოდგენილი ინფორმაციიდან ნათლად ჩანს, რომ მცირეა იმ სკოლათა რიცხვი, რომელთაც სარემონტო–სარეაბილიტაციო ღონისძიებები 2016 წელს ჩაუტარდა. გეოგრაფიული დაფარვის არეალის მხრივ კი, ამ კუთხით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იკვეთება აჭარის, რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიისა და მცხეთა–მთიანეთის რეგიონებში. სახალხო დამცველის მიერ განხილულ რამდენიმე საქმეში ასევე გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ესაჭიროებოდათ სარემონტო–სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, თუმცა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამგვარი სამუშაოები არ ჩატარებულა.

ზემოთქმული პრობლემის პარალელურად უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სკოლებში მოსაწესრიგებელია სკოლის ბუფეტების, საპირფარეშოების, კლასკაბინეტების, სპორტული დარბაზებისა და სასწავლო ინვენტარის განახლების საკითხიც. ამასთან, სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ რიგ საქმეებში გამოიკვეთა, რომ სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (განსაკუთრებით კი მცირეკონტინგენტიან სკოლებში) მოსაწესრიგებელია გათბობის სისტემაც.

სახალხო დამცველისთვის, ჩატარებული მონიტორინგის ფარგლებში ცნობილი გახდა, რომ სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლას წლების განმავლობაში არ ჰქონია დამოუკიდებელი სკოლის შენობა. დაწესებულება ფუნქციონირებდა სსიპ გორელოვკის N1 სკოლის შენობაში. ამგვარი მდგომარეობა მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნიდა როგორც მოსწავლეებს, ისე – პედაგოგებს. კერძოდ, სკოლაში დღის პირველ ნახევარში სწავლობდნენ N1 სკოლის მოსწავლეები, ხოლო დღის მეორე ნახევარში – N3

სკოლის; სასწავლო პროცესი სრულდებოდა 20:00 საათისთვის; სკოლის შენობაში არ იყო საკმარისი ოთახები კლასების განსათავსებლად, მაგალითად, კომპიუტერების ოთახი, დირექტორის კაბინეტი, ბიბლიოთეკა და მე–2 კლასი ერთ ოთახში იყო განთავსებული; სკოლის მოსწავლეებს არ ჰქონდათ ბუფეტი, სპორტული დარბაზი, კლას–კაბინეტები და ა.შ. სკოლაში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართა[58]. როგორც სამინისტროსგან გვეცნობა[59], ჩვენი მიმართვის შემდეგ აღნიშნული სკოლისათვის დამოუკიდებელი შენობის გამოსაყოფად ალტერნატიული ფართი შეირჩა, თუმცა აღნიშნულ ფართს მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები ესაჭიროებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს სკოლებში მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვასა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვები

საგანგაშოა განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების რაოდენობა, რომლებიც სხვა ტიპის უფლებადარღვევებთან ერთად განათლების უფლების რეალიზაციის საშუალებასაც მოკლებული არიან. ბავშვების მიერ განათლების შეწყვეტას ადრეულ ასაკში ქორწინება, ოჯახების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უგულებელყოფა და სხვა ფაქტორები იწვევს.

მდგომარეობას ამწვავებს ისიც, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე პირებს არ აქვთ სრული ინფორმაცია ბავშვის მიმართ ძალადობის, მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით. რაც, თავის მხრივ, პასუხისმგებელი ორგანოების დროული და ეფექტიანი ჩართულობის მაჩვენებელზე უარყოფითად აისახება. ამასთან, ისინი ბავშვის მიერ სკოლის მიტოვების შემთხვევათა პრევენციას ვერ ახდენენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2016 წელს, სხვადასხვა საფუძვლით, საბაზო საფეხურის (9 კლასის) დასრულებამდე სწავლა შეწყვიტა 3 556 არასრულწლოვანმა, ხოლო საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ – 6 449 არასრულწლოვანმა.

განათლების მიღების შეწყვეტის მიზეზებს შორის, საკმაოდ მაღალია მუშაობის დაწყება და ადრეული ქორწინება, რაც შესაბამისი უწყებების მხრიდან ინდივიდუალურ შესწავლასა და რეაგირებას მოითხოვს. სამწუხაროდ, კვლავ პრობლემად რჩება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების განათლების უფლების დაცვის საკითხი.

58 კორესპონდენცია N10–2/15481.
59 კორესპონდენცია N MES 2 17 00023631.

ცხრილი N15 – მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც შეწყვიტეს სწავლა საბაზო განათლების (მე–9 კლასის) დასრულებამდე და დასრულების შემდეგ



ცხრილი N16 – მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც შეწყვიტეს სწავლა საბაზო განათლების დასრულებამდე და დასრულების შემდეგ რეგიონების მიხედვით



არაფორმალური განათლება (სასკოლო ოლიმპიადები, ბანაკები)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების უკეთ უზრუნველყოფას. ბავშვის უფლებათა კომიტეტის მე-14 კომენტარის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესია, ხელი მიუწვდებოდეს განათლების უფლებაზე, ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაზე და მსგავს აქტივობებზე უფასოდ.

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის საქმისწარმოების პროცესში, 2015-2016 წლებში, კერძო სტრუქტურების მიერ ორგანიზებული სასკოლო ოლიმპიადებისა და ბანაკების განხორციელებისას არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის კუთხით გარკვეული ხარვეზები გამოიკვეთა. კერძოდ, არ კონტროლდება ბანაკებისა თუ ოლიმპიადების მიმდინარეობა. ასევე, ორგანიზატორებისათვის კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული აკრედიტაციისა თუ შეთანხმების პროცედურები აქტივობების დაგეგმვამდე.

საქმე N1

სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა, რომ 2015 წლის ზაფხულში, ხონის მუნიციპალიტეტში, არასრულწლოვნებისთვის ფუნქციონირებდა სასწავლო–შემეცნებითი ხასიათის საზაფხულო ბანაკი, სადაც არ იყო დაცული სანიტარული ნორმის მოთხოვნები და გარემო პირობები არ შეესაბამებოდა არასრულწლოვანთა საჭიროებებს.

საქმის შესწავლის პროცესში, სოციალური მომსახურების სააგენტოდან გვეცნობა,[60] რომ ბანაკებში არსებული მდგომარეობის გარკვეულ მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხის განსაზღვრა სცილდება მათ კომპეტენციას. ისინი მხოლოდ მაშინ რეაგირებენ, როდესაც აღნიშნულ ბანაკში ძალადობის სავარაუდო შემთხვევის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო[61] ზედამხედველობას ასევე მხოლოდ მათი ორგანიზებით მიმდინარე ბანაკებს უწევს. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ[62] შეამოწმა ბანაკის მიმდებარე ტერიტორია და გვაცნობა, რომ წყალი დადგენილ მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა.

საქმე N2

სახალხო დამცველის აპარატისათვის ცნობილი გახდა, რომ კერძო ორგანიზაციების მიერ მოწყობილი სასკოლო ოლიმპიადების მიმდინარეობის პროცესში, ფინანსური პრობლემების გამო, ოლიმპიადაში გამარჯვებული არასრულწლოვანი შეთანხმებული ფასიანი საჩუქრით ვერ დაკმაყოფილდა.

60 კორესპონდენციები: 06.10.2015 – N04/75594; 12.11.2015 – N04/87244.
61 კორესპონდენცია: 11.12.2015 – N MES 31501295461.
62 კორესპონდენცია: 01.04.2016 – N09-6/1928.

საქმის შესწავლის პროცესში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოწოდებული ინფორმაციით, ისინი მოკლებული არიან სამართლებრივ შესაძლებლობას, ჩაერიონ მშობელსა და ოლიმპიადის ორგანიზატორ ორგანიზაციას შორის არსებულ კერძო სამართლებრივი ხასიათის დავაში.

აღნიშნულ შემთხვევათა შესწავლამ გამოავლინა, რომ როდესაც ბანაკები და ოლიმპიადები ორგანიზებულია კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ, სახელმწიფოს მხრიდან მსგავს აქტივობებს მონიტორინგი არ უტარდება. გარდა ამისა, ამ ტიპის აქტივობის გამართვისათვის ინიციატორებს არ უწევთ რაიმე ტიპის სავალდებულო პროცედურების გავლა და რომელიმე უწყების აუცილებელი წესით ინფორმირება. ასევე, სასკოლო ოლიმპიადების გამართვისას, არც ოლიმპიადაზე გამოყენებული მასალების თემატიკა და შედეგები კონტროლდება. ყოველივე ეს ეჭვქვეშ აყენებს მსგავს შემთხვევებში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებასა და პროცესის მიმდინარეობის დროს მათი უფლებრივი მდგომარეობის დაცვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბავშვების საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ საკითხის კანონმდებლობით დარეგულირება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ოლიმპიადების და ბანაკების მიმდინარეობაზე პასუხისმგებელი უწყებების განსაზღვრა, გარდა ამისა, ამ პროცესში უფლებადარღვევის გამოვლენის შემთხვევაში სოციალური მუშაკების ჩართვა და კონტროლის მექანიზმისა და შესაბამისი სტანდარტების შემუშავება.

სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ბავშვები

რეინტეგრაციის სახელმწიფო სერვისში ჩართულ ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობა

გაეროს გენერალური ასამბლეის N64/142 (2010) რეზოლუცია ადგენს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, დანერგოს და განავითაროს კოორდინირებული პოლიტიკა ალტერნატიული მზრუნველობის სფეროში.[63] ამ მიზნით, ეროვნულ დონეზე, უნდა შემუშავდეს და გაძლიერდეს ბავშვთა კეთილდღეობისა და უსაფრთხოების სისტემა. რეზოლუციის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა განავითარონ და გააძლიერონ ბიოლოგიური ოჯახების სააღმზრდელო უნარები და სოციალური სერვისები მშობლებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის N 01-20/ნ ბრძანების, „რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების განსაზღვრის შესახებ“, მე-4 მუხლის

63 გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია. „ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვის გზამკვლევი“ 2010 წლის 24 თებერვალი. (Guidelines for the Alternative Care of Children).

მე-7 პუნქტის თანახმად, სოციალური მუშაკი მუშაობს სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსებულ ბავშვთან და მის ბიოლოგიურ ოჯახთან, შესაძლო მეურვესთან/მზრუნველთან, ოჯახის გაძლიერებისა და მშობლის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიმართულებით ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში, შესაძლო მეურვესთან/მზრუნველთან რეინტეგრაციის მიზნით. აღნიშნული მუშაობა შესაძლოა მოიცავდეს მშობლის/მშობლების, შესაძლო მეურვეთა/მზრუნველთა დამოუკიდებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებებს და საჭიროების შესაბამისად, სათანადო მომსახურებასთან დაკავშირებას.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, რეინტეგრაციის სერვისში 2016 წელს (ოქტომბრის თვის მონაცემებით) ჩართული იყო 449 ბენეფიციარი; მათგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე იყო 40 არასრულწლოვანი[64]. ამასთან, 2016 წელს სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნდა 98 არასრულწლოვანი.[65]

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ ჩატარებულ მონიტორინგის შედეგების თანახმად,[66] სახელმწიფო მზრუნველობის სისტემიდან ბენეფიციართა რეინტეგრაციის პროცესი ვერ აკმაყოფილებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისათვის საჭირო კრიტერიუმებს. მომეტებული ყურადღება უნდა გამახვილდეს რეინტეგრირებულ ბავშვთა უსაფრთხოების დაცვაზე, ძალადობისა და ნებისმიერი ტიპის არასათანადო მოპყრობის ფაქტების თავიდან აცილებასა და აღმოფხვრაზე.

განსაკუთრებით პრობლემურია ოჯახების სოციალური ფუნქციის ამაღლება და დროულად ჩართვა სათანადო დამხმარე ქვეპროგრამებში. „სოციალური დახმარების შესახებ“ მთავრობის დადგენილების[67] მიხედვით, რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობა განისაზღვრება თითოეულ ბენეფიციარზე თვეში 90 ლარის, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვზე – 130 ლარის ოდენობით. მონიტორინგის პროცესში შემოწმებული ოჯახების უმრავლესობის განცხადებით, აღნიშნული შემწეობა არ არის საკმარისი ბავშვისათვის სათანადო სოციალურ–ეკონომიკური პირობებისა და სააღმზრდელო გარემოს შესაქმნელად. რესპონდენტების ნაწილის თანახმად კი, სოციალურ დახმარებასთან ერთად, რეინტეგრაციის შემწეობა, მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს ბავშვების სათანადო სოციალური და სააღმზრდელო გარემოს შექმნას.

უნდა აღინიშნოს, რომ რეინტეგრაციის შემწეობის რაოდენობის სიმცირესთან დაკავშირებით განსაკუთრებული პრობლემები ექმნებათ სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში უკიდურესად ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრებ ბავშვიან ოჯახებს. ამასთან, არ ხდება ბენეფიციართა ჯეროვანი ჩართვა არაფულადი ხასიათის სოციალურ პროგრამებში. აღნიშნულ შემთხვევებში არ ხორციელდება კოორდინირებული სახელმწიფო პოლიტიკა ცენტრალური და ადგილობრივი

64 აღნიშნული მონაცემები ფიქსირდება 2016 წლის ოქტომბრის თვის მდგომარეობით: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1199

65 კორესპონდენცია N04/2998.

66 იხ. http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/specialuri-angarishi-mindobit-agzrdis-saxelmwifo-qveprogramis-monitoringis-shesaxeb.page

67 საქართველოს მთავრობა, 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილება „სოციალური დახმარების შესახებ“, 10³ მუხლი.

თვითმმართველობის ორგანოებს შორის, ფარდობითი სიღარიბის პირობებში მცხოვრები ბავშვების დროული და ეფექტიანი სოციალური გაძლიერების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის N102 დადგენილების, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გათვალისწინებულია რიგი ქვეპროგრამები მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული ქვეპროგრამებიდან განსაკუთრებით აქტუალურია „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი სახელმწიფო დახმარების ქვეპროგრამაში“ რეინტეგრირებულ ოჯახთა ჩართვის საკითხი[68]. როგორც გამოიკვეთა, რიგ შემთხვევებში, არ ხდება ან ჭიანურდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი რეინტეგრირებული ოჯახების აღნიშნულ ქვეპროგრამაში ჩართვა.

რეინტეგრირებული ოჯახების სოციალური ფუნქციის ამაღლების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია 2016 წლის განმავლობაში „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამაში ჩართული რეინტეგრირებული ბავშვების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია[69]:

ცხრილი N17

1	ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა	5
2	დღის ცენტრების ქვეპროგრამა	23
3	მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა	2
4	ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა	3
5	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი სახელმწიფო დახმარების ქვეპროგრამა	120

როგორც წინამდებარე ცხრილიდან იკვეთება, მცირეა „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ სერვისებში რეინტეგრირებულ ბენეფიციართა ჩართვის მაჩვენებელი; ასევე აღსანიშნავია „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი სახელმწიფო დახმარების“ ქვეპროგრამაში ჩართვის პრობლემები, კერძოდ, როგორც მოქალაქეთა განცხადებებიდან და მონიტორინგის შედეგებიდან დგინდება, ეს პროცესი საკმაოდ ჭიანურდება და ხშირად, რეინტეგრირებული ოჯახები ვერც იღებენ საჭირო დახმარებას.

რეინტეგრაციის სერვისის მონიტორინგის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ რეინტეგრირებულ ოჯახებში კვლავ ფიქსირდება მშობელთა სტერეოტიპული დამოკიდებულება ბავშვების ფიზიკური დასჯისა და ფსიქოლოგიური ძალადობის მიმართულებით. ამ მხრივ, სახელმწიფოს პასუხისმგებელ ორგანოებს

68 ქვეპროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, სამიზნე ჯგუფებს შორისაა რეინტეგრაციას დაქვემდებარებული/რეინტეგრაციის სერვისში ჩართული ოჯახი.

69 სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსგან მიღებული ინფორმაცია, კორესპონდენცია N04/2998, 18/01/2017.

ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, დროულად აამაღლონ მშობელთა ინ-ფორმირებულობის დონე და გააუმჯობესონ ბავშვთა დაცვისა და დახმარების სისტემა.

მინდობით აღზრდის სახელმწიფო ქვეპროგრამაში ჩართულ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

გაეროს გენერალური ასამბლეის N64/142 (2010) რეზოლუცია ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, დანერგოს და განავითაროს კოორდინირებული პოლიტიკა ალტერნატიული მზრუნველობის სფეროში.[70] ამ მიზნით, ეროვნულ დონეზე უნდა შემუშავდეს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისები და პროცედურული მექანიზმები[71]. ამასთან, სახელმწიფომ, პოზიტიური თუ ნეგატიური ვალდებულებების ფარგლებში, უნდა შექმნას ბავშვთა ალტერნატიული მზრუნველობის ეფექტიანი სისტემა, რათა ხელი შეუწყოს მზრუნველობამოკლებულ მინდობით აღსაზრდელ ბავშვთა ფუნდამენტური უფლებების ეფექტიან აღსრულებას.[72]

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემუშავდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“. აღნიშნულ სფეროში მარეგულირებელი ნორმების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, კანონპროექტი მნიშვნელოვან ცვლილებებს ითვალისწინებს. ამასთან, სახალხო დამცველი გამოთქვამს იმედს, რომ საქართველოს პარლამენტი მხარს დაუჭერს კანონპროექტთან დაკავშირებით წარდგენილ მოსაზრებებს.[73]

საქართველოში მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის ღონისძიებები მოიცავს ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდის ხელშეწყობასა და ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან კონტაქტის გაძლიერებისა და ხელშეწყობის უზრუნველყოფას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს[74]. მიუხედავად აღნიშნული რეგულაციისა, რიგ შემთხვევებში პრობლემურია ბავშვების აქტიური და რეგულარული ურთიერთობა ბიოლოგიურ ოჯახებთან, შემდგომში მათი რეინტეგრაციის ხელშეწყობისა და უგულებელყოფისგან დაცვის მიზნით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა ამ სფეროში კვლავ არის პრობლემები ბავშვთა უგულებელყოფის, ბიოლოგიურ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის კუთხით.

---

70 გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია. ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვის გზამკვლევი. 2010 წლის 24 თებერვალი. (General Assembly Resolution, Guidelines for the Alternative Care of Children, 24 February 2010, Doc. A/RES/64/142).

71 იქვე.

72 იქვე.

73 იხ. http://ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-winadadeba-shvilad-ayvanisa-da-mindobit-agzrdis-shesaxeb-saqartvelos-kanonis-proeqtshi-cvlilebebis-shetanis-shesaxeb.page

74 მთავრობის N102 დადგენილების 1.9. დანართის მე–2 მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები.

მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში განთავსებულია 1390 ბენეფიციარი, მათგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 204 ბენეფიციარი[75]. ამასთან, 2016 წელს მინდობით აღზრდაში განთავსდა 376 ბენეფიციარი, მათგან ნათესაურ მინდობით აღზრდაში – 17 ბენეფიციარი[76].

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველმა, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, გამოსცა სპეციალური ანგარიში[77] მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართულ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის პრობლემების შესახებ. მონიტორინგის ფარგლებში შემოწმდა 110 ბენეფიციარის უფლებრივი მდგომარეობა. შედეგების მიხედვით, მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის საფუძვლები კომბინირებული ხასიათისაა. წამყვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს არასრულწლოვანთა ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანას, ძალადობა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა, სიღარიბე, ცხოვრების არასათანადო პირობები და უგულებელყოფა გახდა (იხ. ცხრილი N18).

ცხრილი N18 – ბენეფიციართა ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანის საფუძვლები მონიტორინგის შედეგების მიხედვით[78]



	ძალადობა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა	სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო პირობები	უგულებელყოფა	ბიოლოგიური მშობლების გარდაცვალება	სახელმწიფო მზრუნველობის შეცვლა
%	**35%**	**30%**	**35%**	**5%**	**15%**

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, გამოწვევას წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა გამოვლენა და რეაბილიტაცია, მათი ჯანდაცვისა და განათლების უფლების დაცვა. რიგ შემთხვევებში, სოციალურ მუშაკებს არ აქვთ მდგრადი და რეგულარული ურთიერთობები ბენეფიციარებთან, მიმღებ ოჯახებს არ მიეწოდებათ სრული ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების შესახებ.

75 სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; კორესპონდენცია N04/17494
76 კორესპონდენცია N04/2998.
77 http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/specialuri-angarishi-mindobit-agzrdis-saxelmwifo-qveprogramis-monitoringis-shesaxeb.page
78 იქვე.

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა სოციალურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების საჭიროება, ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობის გამოვლენის სფეროში, მეურვეობა–მზრუნველობის ადგილობრივ ცენტრებში ფსიქოლოგების სიმცირე.

ზემოაღნიშნული მონიტორინგის შედეგებთან ერთად, სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული საქმისწარმოებიდან იკვეთება, რომ დღემდე პრობლემად რჩება მინდობით აღზრდის სერვისში ჩართულ ბავშვთა მდგომარეობის ეფექტიანი გადამოწმება. აქ იგულისხმება როგორც გეგმიური, ისე არაგეგმიური ვიზიტები მიმღებ ოჯახებში, ბავშვთა დაკავშირება მხარდამჭერ სერვისებთან, ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის ხელშეწყობა. შემოწმების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ნორმატიულ დონეზე არ ფუნქციონირებს ბენეფიციართა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების ეფექტიანი მექანიზმი.

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში

კვლავ პრობლემად რჩება არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის საკითხი მცირე საოჯახო ტიპის სახლებში. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველი არაერთ ანგარიშში მოუწოდებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, უზრუნველყოს სოციალურ მუშაკთა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება, მათ შორის ინდივიდუალური განვითარების გეგმების სათანადოდ შემუშავების საკითხებზე, ამ ეტაპზე ეს კვლავაც არ არის უზრუნველყოფილი. დაბალია აღმზრდელთა კვალიფიკაცია ბავშვთა ქცევის მართვისა და ძალადობისგან დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, რაც აბრკოლებს ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დროულ გამოვლენას და მათი შესაბამისი დახმარებით უზრუნველყოფას.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[79] რეგისტრირებულია 46 მცირე საოჯახო ტიპის სახლი, სადაც განთავსებული 322 ბენეფიციარიდან 25 ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა.

2016 წელს სულ 99 ბავშვის რეინტეგრაცია განხორციელდა, და ამათგან 93 ბენეფიციარი სრულწლოვანების მიღწევის გამო ამოირიცხა. მნიშვნელოვანი პრობლემაა არასრულწლოვნების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება, განსაკუთრებით სრულწლოვნების მიღწევის შემდეგ, როდესაც ბენეფიციარები სახელმწიფო ზრუნვას ტოვებენ. ის ფაქტი, რომ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამა არ ითვალისწინებს სახელმწიფო მზრუნველობიდან გასული არასრულწლოვნების მომსახურებას, განსაკუთრებით დიდ პრობლემას წარმოადგენს.

საქართველოს სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშში აღნიშნულია სახელმწიფო ზრუნვის ფორმების ხშირი ცვლის პრობლემის შესახებ, რაც ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვნებზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს. 2016 წელს

79 სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, კორესპონდენცია N04/17494, 23.03.2017

მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან მინდობით აღზრდაში სულ 8 ბავშვი გადავიდა, სხვა საოჯახო ტიპის სახლში – 8, ლტოლვილთა თავშესაფარში – 1, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში – 1. მინდობით აღზრდიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადავიდა 9 ბავშვი, გადაუდებელი მინდობით აღზრდიდან რეგულარულ მინდობით აღზრდაში – 198 ბავშვი, ხოლო სხვა მიმღებ ოჯახში კი 142 ბენეფიციარი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ განთავსებული ბავშვების მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირებისა და ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციის პროცესი. სახელმწიფო ზრუნვაში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სულ იდენტიფიცირებულია ძალადობის 10 შემთხვევა. მათგან ერთი ბულინგის, ხოლო აღმზრდელების მხრიდან ძალადობის 7 შემთხვევა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის საკითხი რელიგიურ სკოლა–პანსიონებში. მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლა–პანსიონების ნაწილში ლიცენზირების პროცესი დაიწყო. ამასთან, მოცემულ დაწესებულებებში არ არის დაცული ბავშვის ოჯახთან მიახლოებულ გარემოში აღზრდის პრინციპი, რაც დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს ეწინააღმდეგება.

2015 წლიდან დღემდე სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზია მიიღო საპატრიარქოს სამმა თავშესაფარმა, სადაც ამ ეტაპზე განთავსებულია 241 ბავშვი. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შეფასდა თავშესაფარში მცხოვრები ბენეფიციარები, 2015 წლიდან დღემდე მხოლოდ 3 არასრულწლოვნის რეინტეგრაცია განხორციელდა.

2016 წლის 30 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა და სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა, არაგეგმიური მონიტორინგი ჩაატარეს საქველმოქმედო ფონდის, „სოციალური პარტნიორობა“, მცირე საოჯახო ტიპის სახლში. მონიტორინგის მიზანი იყო მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლში არსებული გარემო დამაკმაყოფილებელია, თუმცა გამოიკვეთა პრობლემებიც. მათ შორის აღსანიშნავია ბავშვის აზრის გათვალისწინებისა და მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის პრობლემა. გაირკვა, რომ სკოლის მიღმა აქტივობებში ჩართვაც სახლის ხელმძღვანელთა გადასაწყვეტია და არ არის გათვალისწინებული ცალკეული ბენეფიციარის არჩევანი, მათი ინდივიდუალური ინტერესები და შესაძლებლობები.

მიუხედავად იმისა, რომ საქველმოქმედო ფონდ „სოციალური პარტნიორობა“, მცირე საოჯახო ტიპის სახლში შექმნილი ემოციური და სოციალური გარემო ძირითადად ორიენტირებულია ბავშვის განვითარებაზე, მკაცრად გაწერილი დღის რეჟიმი, სახლის ასევე მკაცრი შინაგანაწესი და ბავშვებზე დაწესებული მკაცრი ზედამხედველობა არ აძლევს მათ თავისუფალი არჩევანის საშუალე-

ბას, არ ითვალისწინებს ბენეფიციარის ინდივიდუალურ მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს. ამავდროულად, სახლში არ ირიცხებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, რაც ვერ უზრუნველყოფს მომსახურების თანაბარ ხელმისაწვდომობას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სახლში მიმდინარეობს 24 საათიანი აუდიო–ვიდეო კონტროლი, რაც უარყოფითად აისახება ბავშვებისა და აღმზრდელების ემოციურ მდგომარეობაზე. ეს ხელს არ უწყობს კეთილგანწყობაზე, ნდობასა და პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას და ბავშვებისა და აღმზრდელების მხრიდან უარყოფითი ემოციების საფუძველი ხდება, რაც პირველ რიგში არღვევს ბავშვის ოჯახთან მიახლოებულ გარემოში აღზრდის პრინციპს. აქვე აღსანიშნავია, რომ სახლში თვალსაჩინო ადგილზეა დამაგრებული „ანონიმური ყუთი“, მაგრამ ყუთის არეალის მუდმივი აუდიო-ვიდეო მეთვალყურეობის გამო, ბავშვებს ანონიმურობის დაცვის შესაძლებლობა არ აქვთ.

საქველმოქმედო ფონდ „სოციალური პარტნიორობა“ მცირე საოჯახო ტიპის სახლში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები

განსაკუთრებული სიმწვავით ხასიათდება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა. სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება განათლებაზე, ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ჯერ კიდევ 2008 წელს მიღებულ დასკვნით შენიშვნებში მოუწოდებდა საქართველოს, ჩაეტარებინა კომპლექსური კვლევა ქუჩაში მცხოვრები ბავშვების მასშტაბებების და მიზეზების შესაფასებლად, რათა შემუშავებულიყო პრევენციის სტრატეგია, თუმცა ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები ჯერაც არ გადადგმულა. სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე არასრულწლოვნების რაოდენობის შესახებ, რაც ართულებს საჭიროებებზე დაფუძნებული ღონისძიებების განხორციელებას.

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის - „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის ამოცანაა, მიუსაფარ ბავშვთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია. ქვეპროგრამის ერთ-ერთი მიმართულებაა ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის მოძიება და სოციალური გარემოს პირველადი შეფასება. თუმცა, ამ კუთხით არსებული გამოწვევები და მათ შორის სოციალური მუშაკების სიმცირე, ხელს უშლის პროგრამის ეფექტიან განხორციელებას.

უნდა აღინიშნოს, რომ თავშესაფარი მიუსაფარი ბავშვებისათვის მთელი საქართველოს მასშტაბით არ არის ხელმისაწვდომი; დღის წესრიგში რჩება ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა მიმართ სტიგმის დაძლევის პრობლემა და საზოგადოების სათანადოდ ინფორმირება ამ საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსგან მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად[80], მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში, 2016 წლის მდგომარეობით, ქუთაისის მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრში საარსებო შემწეობას იღებდა 26 ბენეფიციარი. თბილისის დღის ცენტრში – 58 ბენეფიციარი, რუსთავის დღის ცენტრში – 11. ეს მაჩვენებელი, პრობლემის მასშტაბურობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად დაბალია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის საქმისწარმოების შედეგებმა აჩვენა, რომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მოზრდილები შვილებთან ერთად ითხოვენ მოწყალებას. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მათ არ აქვთ შემოსავლის სხვა წყარო და სხვა გზით ვერ ახერხებენ ოჯახის საჭიროებების დაკმაყოფილებას. ბავშვების უმეტესი ნაწილი, თავშესაფარში ცხოვრების პარალელურად, განაგრძობს მოწყალების თხოვნას. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი 2008 წლის დასკვნით შენიშვნებში ასევე მოუწოდებდა სახელმწიფოს, შესაძლებლობის შემთხვევაში, შეემუშავებინა ოჯახის გამთლიანებისაკენ მიმართული სტრატეგია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების გათვალისწინებით, მათი ჭეშმარიტი ინტერესების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების საკითხთან მიმართებით ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის როლი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად,[81] 2016 წლის განმავლობაში სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლით (არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში) გამოძიება დაიწყო ერთ სისხლის სამართლის საქმეზე. ცალსახად ნათელია, რომ მაჩვენებელი შეუსაბამოდ დაბალია არსებული რეალობის გათვალისწინებით და პასუხისმგებელი ორგანოების მიერ უფლებადარღვევის ფაქტზე არაეფექტიან რეაგირებაზე მიუთითებს. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები განსაკუთრებით დაუცველები არიან ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციის სხვა ფორმებისაგან. პრობლემას წარმოადგენს გამოძიების დაწყება არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო შემთხვევებზე. მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურება და სავარაუდო დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში შესაბამისი ორგანოების სათანადო რეაგირება.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა–მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის ინფორმაციით[82], 2016 წლის მდგო-

80 კორესპონდენცია - 01.02.2017 – N04/5904.
81 კორესპონდენცია 02.03.2017 – MIA 6 17 00518054.
82 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, კორესპონდენცია N04/2999.

მარეობით, „საქართველოში მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში სულ არის 6 დღის ცენტრი, 4 სადღეღამისო თავშესაფარი და 4 მობილური ჯგუფი. მათგან, თბილისში ფუნქციონირებს 3 მობილური ჯგუფი, 4 დღის ცენტრი და 3 სადღეღამისო თავშესაფარი, რუსთავში – ერთი დღის ცენტრი და ერთი სადღეღამისო თავშესაფარი, ხოლო ქუთაისში ერთი მობილური ჯგუფი და ერთი დღის ცენტრი. 2016 წელს დღის ცენტრით ისარგებლა/სარგებლობს 162 ბავშვმა, ხოლო სადღეღამისო თავშესაფრებით – 77 ბენეფიციარმა.

მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა კვლავ არ მოიცავს ქვეყნის ყველა რეგიონს, სადაც აღნიშნული პრობლემა არსებობს და რაც არის კიდეც ბავშვის უფლებების კომიტეტის ერთ–ერთი რეკომენდაცია სახელმწიფოს მიმართ.[83] ამ ეტაპზე, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში არსებული თავშესაფრები არ არის ბათუმში, სადაც განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, იკვეთება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემა, ხოლო ქუთაისში, როგორც უკვე აღნიშნულია, არსებობს მხოლოდ დღის ცენტრი და არ ფუნქციონირებს სადღეღამისო თავშესაფარი.

2016 წლის განმავლობაში ცხელ ხაზზე (15–05) შევიდა 106 შეტყობინება, რომელთაგანაც რეაგირება მოჰყვა 88 შემთხვევას, 18 ზარი კი გადამისამართდა საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრში „112“. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მხრიდან კვლავ არ არსებობს ქმედითი მექანიზმი იმ შემთხვევაში, როდესაც სამინისტროს ცხელ ხაზზე (15–05) ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების შესახებ შეტყობინება სამუშაო საათების დასრულების შემდეგ შედის. ამას ადასტურებს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრში არსებული საქმისწარმოება, ასევე, სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ ცხელ ხაზზე არასამუშაო პერიოდში არაერთხელ განხორციელებული შეტყობინება. ხშირია შემთხვევები, როდესაც ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზის ოპერატორი საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრში გადაგზავნას თავად არ უზრუნველყოფს. ამასთანავე, მობილური ჯგუფები კვირაში ერთხელ მორიგეობენ ღამის საათებში, რაც არ არის საკმარისი და ვერ უზრუნველყოფს მათი მხრიდან ყოველდღიურ სათანადო რეაგირებას საღამოს საათებში.

თავის მხრივ, პრობლემურია საპატრულო პოლიციის დამოკიდებულება და ცნობიერების დონე ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით. ხშირად, მათ არ აქვთ ინფორმაცია, თუ ვის მიმართონ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვის აღმოჩენის შემთხვევაში. არ აქვთ სათანადო ინფორმაცია არც მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში არსებული მომსახურების შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით[84], 2016 წლის განმავლობაში სსიპ საქართველოს შსს აკადემიაში, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე

83 გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი. „საქართველოს მე–3 პერიოდული მოხსენების დასკვნითი შენიშვნები“, 2008 წლის 23 ივნისი, პარ. 16; 65 (c) (Committee on the Rights of the Child; CRC/C/GEO/CO/3).

84 შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისგან მიღებული კორესპონდენცია N435869, 22.02.2017.

ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით, გადამზადების კურსებზე ან ტრენინგებზე შსს საპატრულო პოლიციის თანამშრომლები წარდგენილი არ ყოფილან.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების შემთხვევაში 2016 წლის განმავლობაში განხორციელდა 3 ოჯახში, 2 სექსუალური და 1 ფიზიკური ძალადობა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რეფერირების მექანიზმის საშუალებით, მიმართვა შევიდა 6–ვე შემთხვევაზე.

მნიშვნელოვანია, რომ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის უზრუნველყოფილი იყოს მათი ოჯახურ ან ოჯახთან მიახლოებულ გარემოში აღზრდის შესაძლებლობა. 2016 წლის განმავლობაში მინდობით აღზრდაში განთავსდა 2 ბენეფიციარი, ხოლო მცირე საოჯახო ტიპის სახლში – 6. ამ მხრივ, აუცილებელია გაძლიერდეს მუშაობა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებთან, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე არასრულწლოვნების ოჯახურ პირობებში აღზრდის მიზნით, პრიორიტეტული იყოს სადღეღამისო თავშესაფრებიდან, შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, მათი ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიულ ფორმაში განთავსება.

აუცილებელია გატარდეს საზოგადოებისთვის ცნობიერების ამაღლების კამპანიები ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებით, მათ დასაცავად სტერეოტიპული დამოკიდებულებებისგან და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- დაიწყოს მუშაობა ბავშვის უფლებების შესახებ ზოგადი კანონის შემუშავებაზე, რომელშიც ასახული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციისა და დამატებითი ოქმების დებულებები
- განისაზღვროს საჯარო სკოლებში სასმელი წყლის ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე ზედამხედველობის მექანიზმი
- ხელი შეეწყოს ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციას საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელების გზით
- ხელი შეეწყოს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების განუხრელ შესრულებას პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან და გატარდეს ქმედითი ნაბიჯები კოორდინაციის ამაღლებისა და მონიტორინგის მიმართულებით
- შემუშავდეს სასკოლო ოლიმპიადებისა და ბანაკების კერძო ორგანიზაციების და პირების მიერ გამართვისთვის საჭირო პროცედურული წესი, მათ შორის, განისაზღვროს სახელმწიფოს მხრიდან მონიტორინგის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები და მასზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანო
- გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) N182 კონვენციის ეროვნულ დონეზე ეფექტიანი აღსრულების მიზნით

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- ხელი შეეწყოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებისკენ მიმართული საქართველოს მთავრობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტიან განხორციელებას
- გატარდეს სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს რეგიონებში მომუშავე სამედიცინო პერსონალს, მათ შორის მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო დაწესებულებებში პრაქტიკული სწავლების მიმართულებით
- ხელი შეეწყოს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას გეოგრაფიული ბარიერების აღმოფხვრით და სამედიცინო

დაწესებულებების ინფრასტრუქტურის, აგრეთვე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებით

- უზრუნველყოფილ იქნეს ჯანმრთელობის დაცვის სერვისებისა და სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანი დანერგვის მონიტორინგი, მათ შორის, პერინატალური სერვისების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გონივრულ ვადებში შეფასდეს კლინიკები და განისაზღვროს მათი შესაბამისი დონე

- პროფესიული განვითარების საბჭომ გონივრულ ვადებში შეისწავლოს ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევები

- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი დახმარების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები კომისიის მიერ გაიწეროს გადაწყვეტილების მიღების პროცედურული წესი და ვადები, ამასთან, გონივრულ ვადებში იქნას მიღებული გადაწყვეტილება ქვეპროგრამაში ჩართვის საკითხთან დაკავშირებით

- სიღრმისეულად შეფასდეს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების საჭიროებები და მასზე დაყრდნობით გატარდეს ოჯახების გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სოფლად მცხოვრები ბავშვების საჭიროებებს

- ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციის ამაღლების გზით, მინიმუმამდე შემცირდეს სიღარიბის საფუძვლით ბიოლოგიური ოჯახებიდან ბავშვთა გამოყვანის მაჩვენებელი

- უზრუნველყოფილ იქნეს დედათა და ბავშვთა თავშესაფრებში დედების გაძლიერება, მათი პროფესიული განვითარება და მათ დასაქმებაზე ზრუნვა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების შესაბამისად

- ხელი შეეწყოს ბავშვთა შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევათა დროულ და ეფექტიან გამოვლენას, ამასთან, გაძლიერდეს მსხვერპლ ბავშვთა რეაბილიტაციის პროცესი

- გატარდეს ადეკვატური და დროული ღონისძიებები ბავშვთა შრომითი მიგრაციის განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლის, მიგრაციის შემცირებისა და პრევენციის, აგრეთვე, შრომითი მიგრაციის შედეგად დაზარალებულ ბავშვთა გამოვლენისა და რეაბილიტაციის კუთხით

- გაძლიერდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ცენტრები ადამიანური და ტექნიკური რესურსით. მათ შორის, გაიზარდოს სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების რაოდენობა

- სოციალური მუშაკები სისტემატურად გადამზადდნენ ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხებზე. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ძალადობის შემთხვევათა ეფექტიანი გამოვლენის უნარ-ჩვევების გაძლიერებას

- ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისას ყოველთვის იქნას გათვალისწინებული და შეფასდეს ბავშვის სავარაუდო უგულებელყოფის და მის მიმართ ძალადობის არსებობის რისკები
- უზრუნველყოფილ იქნეს ძალადობის პირდაპირი და ირიბი მსხვერპლი ბავშვების დროული და სათანადო ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. ამასთან, მშობლებთან ერთად ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში მოთავსებულ ბავშვებს მიეწოდებოდეთ მათ საჭიროებებზე მორგებული ფსიქოლოგიური დახმარება
- ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის პროცესში დეტალურად შეისწავლებოდეს ბავშვის უფლებრივი მდგომარეობა ორივე მშობელთან დაკავშირებით, ხოლო შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდოს სასამართლოს
- ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ხელი შეეწყოს არასრულწლოვნის ურთიერთობას ორივე მშობელთან, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე, ისე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე
- საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით შეისწავლებოდეს ბავშვთა მიერ სკოლის მიტოვების შემთხვევები და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები შესაძლო უგულებელყოფისა და უფლებადარღვევის სხვა ფორმების აღმოსაფხვრელად
- გაუმჯობესდეს ზედამხედველობის მექანიზმი მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის სახელმწიფო სერვისებში ჩართულ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის შემოწმებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების კუთხით
- გატარდეს აქტიური ღონისძიებები მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის ბენეფიციარების ბიოლოგიურ ოჯახთან რეგულარული ურთიერთობის ხელშეწყობისა და მათი შემდგომი რეინტეგრაციისთვის
- აქტიურად მიმდინარეობდეს მინდობით აღმზრდელ ოჯახთა გადამზადება ბავშვთა უფლებებისა და საჭიროებების, ასევე, რთული ქცევის მართვისა და პრევენციის საკითხებში
- გაუქმდეს საქველმოქმედო ფონდ „სოციალური პარტნიორობა“ მცირე საოჯახო ტიპის სახლში არსებული აუდიო–ვიდეო კონტროლი
- ამაღლდეს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაცია ბავშვის მიმართ ძალადობისა და რთული ქცევის მართვის საკითხებზე
- გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასაწყებად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მუს-

ლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში

- გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვთა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოსამზადებლად
- გაფართოვდეს „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის გეოგრაფიული არეალი, გაიზარდოს ქვეპროგრამის ფარგლებში მომუშავე მობილური ჯგუფების რაოდენობა და მორიგეობის სიხშირე
- ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, მათი განათლების უფლების დაცვის მიზნით, დროულად ჩაერთონ ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში
- ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების თითოეულ საქმეზე დაუყოვნებლივ განხორციელდეს რეფერირება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან
- განხორციელდეს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ან რისკის ჯგუფში მყოფი ბავშვების ოჯახებთან მუშაობა და მათი გაძლიერება სოციალური პრობლემების საფუძვლით მოწყალების თხოვნის პრევენციისა თუ შემცირების მიზნით

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- გატარდეს აქტიური ღონისძიებები საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ჯანმრთელობის უფლების დაცვის, უსაფრთხო და უვნებელი სასმელი წყლისა და სანიტარულ–ჰიგიენური პირობების უზრუნველსაყოფად
- განხორციელდეს აქტიური კოორდინაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან საჯარო სკოლებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის დაცვის, ასევე, ამ კუთხით დაავადებათა პრევენციის საკითხებზე.
- მასწავლებლები და მანდატურები სისტემატურად გადამზადდნენ ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციის, შემთხვევის გამოვლენის და მასზე ადეკვატური რეაგირების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე, მათ შორის, დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებების შესაცვლელად
- გაიზარდოს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრების რაოდენობა და გაძლიერდეს უკვე არსებულის შესაძლებლობები
- ფუნქციონირება დაიწყოს მანდატურის სამსახურმა იმ სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით არსებობს შესაბამისი საჭიროება

- მიეცეს სისტემური ხასიათი მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას თავიანთ უფლება-მოვალეობებთან, ძალადობისგან დაცვის არსებულ მექანიზმებთან და ბულინგის ნეგატიურ გავლენასთან დაკავშირებით
- სკოლის მიტოვების შემთხვევების პრევენციის მიზნით, დროულად მოჰყვეს რეაგირება და რეფერირება პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებთან გამოვლენილ ყველა შემთხვევას
- აქტიურად მიმდინარეობდეს საჯარო და კერძო სკოლებში მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ღონისძიებები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ამაღლების საკითხებზე
- გაუმჯობესდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა და განახლდეს სასწავლო ინვენტარი, ამ მხრივ, მომეტებული ყურადღება გამახვილდეს სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობაზე
- გონივრულ ვადებში შემუშავდეს ადრეული და სკოლამდელი განათლების სტანდარტები და გატარდეს საჭირო ღონისძიებები საბავშვო ბაგა–ბაღებში მათი დროულად დასანერგად

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- გაძლიერდეს ბავშვთა შრომითი ექსპლუატაციის, ტრეფიკინგის, პროსტიტუციაში ჩაბმის, პორნოგრაფიული ნაწარმოების უკანონო დამზადებისა და გასაღების, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის სავარაუდო შემთხვევათა დროული გამოვლენა და გამოძიების გონივრულ ვადებში წარმართვა
- ხელი შეეწყოს ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული სერსვისების შეთავაზებას ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენის და შემთხვევაზე რეაგირების პროცესში
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები სისტემატურად გადამზადდნენ ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხებზე, მათ შორის, შემთხვევათა გამოვლენის, გამოძიების წარმართვის ტექნიკებისა და დაცვის ღონისძიებების გამოყენების მნიშვნელობის საკითხებზე
- განხორციელდეს საპატრულო პოლიციის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება და მათი გადამზადება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ხელი შეეწყოს სტერეოტიპული დამოკიდებულების შეცვლას
- ოჯახში ძალადობის ყველა შემთხვევაზე რეაგირებისას გათვალისწინებული იქნეს ბავშვის სავარაუდო უგულებელყოფის ან ძალადობის სხვა ფორმების რისკი და შეფასდეს მდგომარეობა; ხელი შეეწყოს

დამცავი ღონისძიებების, მათ შორის, შემაკავებელი ორდერის გამოყენებას

- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პროაქტიულ გამოვლენას, იდენტიფიცირებას და რეფერირებას სოციალური მომსახურების სააგენტოში

საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- საგამოძიებო მოქმედებების შედეგები აღინუსხოს შესაბამის ოქმებში
- გადაუდებელი აუცილებლობისას საგამოძიებო მოქმედების ღამის საათებში ჩატარების დროს, მიეთითოს შესაბამის ოქმში ამის კონკრეტული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები
- პროცესის მწარმოებელი პირების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი მოთავსდეს თითოეულ სისხლის სამართლის საქმეში

საქართველოს მთავარ პროკურატურას:

- მხოლოდ უკიდურესად გადაუდებელ შემთხვევაში დააკავოს არასრულწლოვანი პირი სასამართლოს განჩინების გარეშე
- არასრულწლოვანი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობისას, პროკურორმა მაქსიმალურად დროულად მიმართოს შესაბამის უწყებას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მოთხოვნით
- ინდივიდუალური შეფასების ანგარიში მომზადდეს დროულად, ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებამდე, როდესაც პროცესის მწარმოებელი პირი დისკრეციას იყენებს

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- ინტენსიურად მიმდინარეობდეს საბავშვო ბაგა–ბაღებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ღონისძიებები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს დაწესებულებათა ინფრასტრუქტურული და სანიტარულ–ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების მიმართულებაზე
- ამაღლდეს საბავშვო ბაგა–ბაღების აღმზრდელ–პედაგოგთა კვალიფიკაცია ბავშვთა უფლებების, ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციის, არასათანადო მოპყრობისგან მისი დაცვისა და რთული ქცევის მართვის კუთხით
- შემუშავდეს შესაბამისი პროგრამები ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონის დაძლევის მიზნით.